ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№396 (455) 31 იანვარი–7 თებერვალი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## გარდაუვალ ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოს ელის, ქართველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია წლების წინათ ვარაუდობდა

გვ.2,6

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: ახალი წელი ტერორიზმით დაიწყო

გვ.3

## სერგი საჯაია: არასაზავო ფიქრები მილევადობის მიჯნასთან

გვ.7



## თაღლითები მუდამ თაღლითებად რჩებიან — საავკიანცი კაპიტოლიუმის შენობის ფონზე!

გვ.5

## ეკა ასათიანი: ბოკერიას ჯგუფი ეცადა ფინანსური წყაროების გასაშიფრად რულოვსის გამოყენებას — აბა, ელენე ხოშტარია სანდრას რატომ დაუდაქალდა?

გვ.6

## ჩვენ ვითხოვთ ერთით მეტ სკამს მაგიდასთან! — BBC-ის ინტერვიუ მილტონ ჰეიგთან

გვ.12

## თამარ ზანთარაია: ზუტნერების და დადიანების შეხვედრა 140 წლის შემდეგ — რეპორტაჟი გადასაღები მოედნიდან

გვ.7

## ზუტნერების და დადიანების შეხვედრა 140 წლის შემდეგ — რეპორტაჟი გადასაღები მოედნიდან

გვ. 9



გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



## ტობას განვითარების კონცეფცია ადგილზე გზებისა და საბაგიროს მოწყობას ითვალისწინებს

გვ9

# გარდაუვალ ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოს ელის, ქართველი პოლიტოლოგი წლების წინათ ვარაუდობდა

20 იანვარს გამართულ ინაუგურაციაზე აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამერიკელ საზოგადოებას ერთიანობისკენ მოუწოდა. ტრამპს სურს, შექმნას კოალიცია სხვადასხვა ჯგუფის, კლასისა და თემისა, რომლებიც მდიდრების, გავლენიანი მაგნატებისა და ხელისუფლებაში მოკალათებული მაღალჩინოსნების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. როგორც ახალარჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა, მათ ბედის ანაბარა მიატოვეს სოციალურად სუსტი ფენა, შედეგად მოიმატა სიღარიბემ და დანაშაულმა, რომელიც ობამას ეპოქაში დამღად დაედო ამერიკის ბევრ რაიონსა და ქალაქს.

ტრამპი არა მხოლოდ ინაუგურაციაზე სიტყვით გამოსვლისას, არამედ წინასაარჩევნო პერიოდშიც ჰპირდებოდა ამერიკელებს, რომ რადიკალურად შეცვლიდა წესრიგს ხელისუფლებაში, შეცვლიდა მის ჩვევებს, პრიორიტეტებს, აგრეთვე, ვაშინგტონისა და ნიუ იორკის ელიტების მოქმედების მოდელს. დონალდ ტრამპი დაუპირისპირდა იმ პრინციპებსა და აზროვნებას, რომელიც განსაზღვრავდა მისი წინამორბედი პოლიტიკური ლიდერების ქცევას.

ცვლილებებია მოსალოდნელი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში: ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა და ახლა იქ მთავარი მოთამაშეები რუსეთი, ირანი და თურქეთი არიან, რომლებმაც აშშ მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ მიიწვიეს ასტანაში გასამართ მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის. ნიშანდობლივია, რომ მოწვევა გაუგზავნეს არა ბარაკ ობამას, არამედ დონალდ ტრამპს.

ტრამპის გაპრეზიდენტებამ, რასაც ყველა ხერხით უშლიდნენ ხელს არა მხოლოდ ამერიკის, არამედ მსოფლიოს პოლიტიკისა და ეკონომიკის გავლენიანი ძალები, შოკი გამოიწვია იმ ადამიანებში, რომლებსაც სჯეროდათ, რომ გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადია, რომ გარდაუვალია ქრისტიანული ღირებულებების დევალვაცია, რომ ყველა ქვეყანაში უნდა დაკანონდეს ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება და, რაც მთავარია, მსოფლიოს ჰეგემონი უნდა იყოს **"განსაკუთრებული სახელმწიფო"** – ამერიკის შეერთებული შტატები.

მაგრამ, თუ ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებს გულდასმით გავაანალიზებთ, აშკარად ჩანს, რომ ცვლილებები, რომლებიც ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ უნდა დაიწყოს, გარდაუვალი იყო. ამ ცვლილებების გარდაუვალობაზე კი არაერთხელ ულაპარაკია ცნობილ ქართველ პოლიტოლოგს – **ალექსანდრე ჭაჭიას**.

ამაში იოლად დარწმუნდებით, თუ გავეცნობით ტრამპის მიერ წინასაარჩევნოდ გაცემულ დაპირებებსა და ინაუგურაციისას გამოთქმულ თეზისებს.

"ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ადამიანთა მცირე ჯგუფი სარგებლობდა ხელისუფლების სიკეთეებით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში და ამის საფასურს მოსახლეობა იხდიდა. ვაშინგტონი აყვავდა, მაგრამ ადამიანებმა ეს ვერ იგრძნეს თავიანთ ქონებაზე. პოლიტიკოსებიც გაიფურჩქნენ, მაგრამ ქარხნები დაიხურა და სამუშაო ადგილები გაქრა. ისტებლიშმენტი იცავდა საკუთარ თავს, მაგრამ არა – ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს. მათი გამარჯვება არ იყო თქვენი გამარჯვება, მათი ტრიუმფი არ იყო თქვენი ტრიუმფი და, როცა ისინი ზეიმობდნენ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, სულაც არ ეზეიმებოდათ ოჯახებს ჩვენს ქვეყანაში...

დედები და შვილები სიღარიბეში ცხოვრობენ ჩვენს ქალაქებში; დაჟანგული ქარხნები საფლავის ქვებივითაა მიმოფანტული ჩვენი ქვეყნის მიწაზე; ფულით სავსე განათლების სისტემა, რომელიც შესანიშნავ სტუდენტებს ცოდნის გარეშე ტოვებს; კრიმინალმა, განგსტერებმა და ნარკოტიკმა ძალიან ბევრი სიცოცხლე წაგვართვა და ჩვენი ქვეყანა გაძარცვა არარეალიზებული პოტენციალისგან. ჩვენ გვექნება ორი მთავარი წესი – იყიდე ამერიკული და დაიქირავე ამერიკელი".

ინაუგურაციაზე წარმოთქმული სიტყვის ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ აშშ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტს სურს, ძირფესვიანად შეცვალოს საშინაო პოლიტიკა და ამერიკა, უწინარესად, ამერიკელი ხალხის ინტერესების გამტარებელ ქვეყნად გადააქციოს.

აი როგორ აფასებდა ალექსანდრე ჭაჭია აშშ-ის როლს მსოფლიოში თითქმის 16 წლის წინათ, 2001 წლის სექტემბერში **"დილის გაზეთისთვის"** მიცემულ ინტერვიუში:

**"ეს ის ქვეყანაა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იქცა ერთადერთ ზესახელმწიფოდ. მის ისტებლიშმენტში გაიმარჯვა კონცეფციამ, რომლის თანახმადაც, აშშ უნდა იყოს მსოფლიოს ხელმძღვანელი, მსოფლიოს მმართველი... აშშ ქმნის ვითარებას, რომლის მსხვერპლიც თვითონ ხდება. მოვა დრო, როცა ამერიკას იმპერიალისტური პოლიტიკა უკან შეუბრუნდება და ტრაგიკულ შედეგამდე მივა...**

**ამერიკამ უნდა შეცვალოს საგარეო პოლიტიკა და შეეგუოს იმ ამბავს, რომ მსოფლიოში არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, თავისუფალი ერები, რომლებსაც აქვთ ეროვნული თვითმყოფადობა, განვითარების საკუთარი გზა და ტრაექტორია".**

ქვემოთ მოყვანილი ტექსტები კი ამონარიდებია გაზეთ **"საქართველო და მსოფლიოსთვის"** 2013 წელს მიცემული ინტერვიუდან:

**"თუ იმასაც დავუმატებთ, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც ფულს ბეჭდავს და ამერიკას და მთელ მსოფლიოს დოლარებით ამარაგებს, კერძო საწარმოს წარმოადგენს, რომელიც 100 წლის წინათ იმავე როკფელერებმა და როტშილდებმა მორგანებთან, ლემანებთან, დიუპონებთან ერთად ჩამოაყალიბეს, მაშინ ნათელი გახდება, რომ შეერთებული შტატები, უბრალოდ, პლანეტის უმდიდრესი ადამიანების კერძო კორპორაციაა, ხოლო აშშ-ის მთელი პოლიტიკური კლასი ამ კერძო კორპორაციის თანამშრომლები არიან. და აქ არანაირი სახალხო დემოკრატიის სიოც კი არ ქრის ("საქართველო და მსოფლიო"** №31(218), 2013წ).

**"მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების მორჩილებაში საყოლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება "ყველას ყველასთან" დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომლებსაც აქვთ განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია" (გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"** 34 (221), 2013წ).

*აშშ-ის ახალ პრეზიდენტს განზრახული აქვს ურთიერთობის გაუმჯობესება რუსეთთან, რომელსაც მისი წინამორბედი სანქციას სანქციაზე უწესებდა. ტრამპი, აგრეთვე, შეცვლის დამოკიდებულებას ევროკავშირსა და ნატოს მიმართ, რომლებსაც ბევრი ექსპერტი დაშლას უწინასწარმეტყველებს მემარჯვენე ნაციონალისტური განწყობების მატების გამო.

***(*ევროპა, რომელიც უამრავი პრობლემის წინაშე (მიგრაციული კრიზისი, ფინანსური თუ ეკონომიკური პრობლემები) დგას, შიშით შეჰყურებს მოვლენების განვითარებას აშშ-ის ხელისუფლების სათავეში ტრამპის მოსვლის შემდეგ, რადგან ამერიკაში დაწყებული ცვლილებების სიო აუცილებლად დაუბერავს ბებერ კონტინენტზეც, გამოიწვევს ნაციონალისტური განწყობილების კიდევ უფრო ზრდას და ნეოლიბერალი პოლიტიკოსების კარიერის დასასრულს).***

**"დეკადების განმავლობაში ჩვენ ვამდიდრებდით უცხოურ ინდუსტრიებს ამერიკული ინდუსტრიების ხარჯზე; ვაფინანსებდით სხვა ქვეყნის არმიებს მაშინ, როცა ჩვენს არმიას ვაძლევდით გამოფიტვის საშუალებას; ჩვენ ვიცავდით სხვა ქვეყნის საზღვრებს, როცა არ ვიცავდით საკუთარს; ოკეანის გადაღმა ვხარჯავდით ტრილიონობით დოლარს მაშინ, როცა ჩვენი ინფრასტრუქტურა მოშლილი და დასუსტებულია. ჩვენ ვამდიდრებდით სხვა ქვეყნებს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, სიძლიერე და თავდაჯერებულობა ჰორიზონტიდან გაქრა",** – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

აი ალექსანდრე ჭაჭიას თვალსაზრისი ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებისკენ საქართველოს სწრაფვაზე:

**"შევარდნაძემ და სააკაშვილმა ჩვენს საზოგადოებას თავს მოახვიეს ცრუ მიზნები – ნატო და ევროკავშირი. ხალხმა არაფერი იცოდა არც ერთის და არც მეორის შესახებ, მაგრამ პროპაგანდის ზეგავლენით ეს ცრუ მიზნები ყველა უბედურების პანაცეად, სამოთხისკენ მიმავალ გზად აღიქვა. ნებისმიერ ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯს ხელისუფლება სწორედ ამ ცრუ მიზნების – ნატოსა და ევროკავშირისკენ ხელის გაშვერით ამართლებდა – აქაოდა, ნატოსა და ევროკავშირში შესასვლელად არისო საჭირო...**

ორივე რეჟიმი, შევარდნაძისა და სააკაშვილის, იყო მარიონეტული. მათ სჭირდებოდათ, როგორმე აეხსნათ ხალხისთვის, რატომ იქცეოდნენ არა საკუთარი სახელმწიფოს, არამედ გარე ძალების ინტერესების შესაბამისად. ახსნა კი იყო შემდეგი: **"ასეა საჭირო ნატოში შესასვლელად"**. ჩვენი მმართველების ზურგს უკან ნატოს რომ არ ეციმციმა, განა ქართველი ხალხი დაანებებდა მათ ომის დაწყებას აფხაზეთსა და ცხინვალში, რუსეთთან თვითმკვლელობის ტოლფას კონფრონტაციაზე წასვლას ან ავღანეთში უცხო ინტერესებისთვის სასაკლაოზე საკუთარი შვილების გაგზავნას? განა დაანებებდა ვინმე ხელისუფლებას ახალგაზრდობის გარყვნას, ეკლესიის დამცირებას, უცხოელებზე მიწის გაყიდვას? განა ქართველი ხალხი შეეგუებოდა იმას, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი, აგერ უკვე 20 წელია, არის აშშ-ის ელჩი? ამ ყველაფერს სჭირდებოდა გამართლება და ისიც მოიძებნა ნატოსა და ევროკავშირის სახით. ქვეყნის მმართველებმა კარგად იცოდნენ, რომ ატყუებენ ხალხს, მაგრამ, როგორც მარიონეტებს, საზოგადოებისთვის სხვა არაფრის შეთავაზება არ შეეძლოთ, მათთვის ნებადართული იყო მხოლოდ იმ პოლიტიკის გატარება, რომელსაც კარნახობდნენ და რომლისთვისაც ისინი ხელისუფლებაში დასვეს (გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" №20 (207), 2013 წ).

***(გაგრძელება მე-6 გვერდზე)***

# სანდრო ბრეგაძე: *მარგველაშვილო და ჩიჩუა!!! ფეხქვეშ მიწა უნდა გეწვოდეთ, გარყვნილო არაადამიანებო!!!*




დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე სოციალურ ქსელში მწვავედ აკრიტიკებს პრეზიდენტისა და პირველი ლედის უცხოურ ვოიაჟებს.

**„მარგველაშვილო და ჩიჩუა!!! ამ ფოტოს დახედეთ თქვე არაადამიანებო. მაშინ როდესაც ბრაზილიაში სასტუმროს ნომერში 35.000 იხდიდით და რიოს სანაპიროზე გრიალში 300.000 დახარჯეთ, ქართველები საჭმლის საძიებლად ნაგვის ბუნკერში იქექებიან. ფეხქვეშ მიწა უნდა გეწვოდეთ, გარყვნილო არაადამიანებო, ნებისმიერი თავმოყვარე საზოგადოება ყურით გამოგათრევდათ მაგ 100 მილიონიანი სასახლიდან.**

**ან კვირიკაშვილს მინდა ვკითხო – 5 მილიონს აეროსმიტს რომ აძლევ ბაბუაშენის დანატოვარი ხომ არ გგონია??? ნუთუ საერთოდ არ გრცხვენია ან ღამე როგორ გძინავს??? და ბოლოს ქართველ მილიარდერ-მილიონერებს მინდა მივმართო – სულ რაღაც 2 მილიონია საჭირო წელიწადში, რომ თქვენმა თანამემამულეებმა არ იშიმშილონ, ყველა მოკვდავი ხართ და საფლავში წაიღებთ მაგ ფულებს??? შექმენით ფონდი და დაამთავრეთ ხალხის ნაგავში ქექვა, ღმერთის არ გწამთ???"** – წერს სანდრო ბრეგაძე.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე ოპოზიციურ რიგებში მას შემდეგ იმყოფება, რაც მან თანამდებობა დატოვა. თავის დროზე სანდრო ბრეგაძემ თანამდებობიდან გათავისუფლება ახსნა იმით, რომ მას **"პრინციპებზე უარის თქმა"** მოსთხოვეს და ამის გამო გადადგა. **"მე გადავდექი. უფრო სწორედ, ყველაფერი გააკეთეს, რომ გადავდგარიყავი, რადგან კატეგორიულად მომთხოვეს ჩემს პრინციპებზე უარის თქმა. დიახ, ერთსქესიანთა ქორწინება არასოდეს დაკანონდება, ვერც ეკლესიას და პატრიარქს შეაგინებს ვინმე და ჩვენც ეროვნული სახელმწიფო გვექნება"** – განაცხადა ბრეგაძემ სოციალურ ქსელში.

არა და, რა გახდა საქართველოსათვის ერთი წესიერი პრეზიდენტი, ქართველ ერს იდიოტად რომ არ მონათლავს და ხალხის სატკივარს მიიტანს გულთან. ნურავინ დამაბრალებს რასისტობას, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ყველაზე მეტად საქართველოზე სწორედაც რომ ქართველ ადამიანს შესტკივა გული. კარგად იცით, რაც მოუტანა საქართველოს ეთნიკურად სომეხი მიხეილ სააკაშვილის 9-წლიანმა ბოგინმა საქართველოში. არავინ იცის, ვინ, სად და როდის **"შეატენა"** ივანიშვილს მასონი-ურია (მარგველაშვილის მამის დედა გვარად ტეტელმანია) ივანიშვილს ეს ყოვლად უვარგისი და ქართველი ერის მოძულე პიროვნება, რომელსაც თავისი ოჯახის საქმე ვერ დაულაგებია და ქვეყნის დალაგებას რომ აპირებს. მისი ოჯახის წევრების უმეტესობა ხომ კრიმინალები არიან!

განა შესაბამის ორგანოებს არ უნდა შეესწავლათ, თუ როგორი ოჯახის პატრონი იყრიდა კენჭს საქართველოს პრეზიდენტად? მაგრამ, ფაქტია, რომ საქართველო ფეხებზე ჰკიდიათ როგორც მარგველაშვილსა და მისნაირებს, ასევე მათ რეკომენდატორებსაც.

დრო კი მიდის, საქართველო კვლავ ქვეყნის გარეთა სუფლიორების კარნახით აგრძელებს ცხოვრებას, რაც არავითარ სიკეთეს არ უქადის ჩვენს ერსა და ქვეყანას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წელი ტერორიზმით დაიწყო

ახალი წლის დადგომამდე განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა იმდენად დააფრთხო ევროპელი, და არა მარტო ევროპელი, მოსახლეობა, რომ ბევრმა უარი თქვა ტრადიციად ქცეულ რიტუალზე – ახალი წლის შეხვედრაზე ქალაქების ქუჩებში. ბერლინის, ბრიუსელის, პარიზის, მადრიდის, სხვა ქალაქების მერების და ხელისუფლების, პოლიციის, უშიშროების სამსახურების ძალისხმევით ზემომოყვანილი და სხვა ქალაქების ცენტრებში ე.წ. უსაფრთხო ზონებში – ბეტონის ბლოკებითა და რკინის ბარიერებით შემორაგულში, მაინც ჩატარდა მასობრივი საზოგადოებრივი ღონისძიებები.

პოლიციელებთან ერთად საზოგადოებრივ წესრიგს სამხედროებიც იცავდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სტამბოლი ვერ იხსნეს ტერორისტული აქტისგან და 2017 წელს ევროპა მძიმე ტერაქტით შეხვდა. 39 ადამიანი შეიწირა სტამბოლის ღამის კლუბში განხორციელებულმა ტერაქტმა. რაც შეეხება დაჭრილებსა და დაშავებულებს – 70-ს აჭარბებს. მორიგი ტერაქტი იყო ბაღდადშიც – 40 ადამიანის მსხვერპლით.

სტამბოლის ტერორისტული აქტი დაგმეს ევროპის ქვეყნების ლიდერებმა. მკაცრი იყო გერმანიის კანცლერის მერკელის განცხადებაც ტერორისტთა მიმართ, რომლის ლოიალურმა პოლიტიკამ გამოიწვია ის ქაოსი, განსაკუთრებით ძალადობა, რასაც სისტემატურად აქვს ადგილი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში.

მერკელი პირველი იყო იმ დასავლელი პოლიტიკოსებისგან, ვინც ხელგაშლილი შეხვდა ახლო აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთ აფრიკიდან, ავღანეთიდან წამოსულ ადამიანთა ნაკადებს. მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის სამსახურები ლტოლვილთა მისაღებად. მათ დაემატა არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაციები და გაჩაღდა მუშაობა შესაშური მასპინძლობისთვის.

2016 წლის დასაწყისი უდავოდ დამაფიქრებული უნდა ყოფილიყო, როგორც მერკელის, ისე სხვა ლიბერალი ევროპელი პოლიტიკოსებისთვის. 2015 წლის ლტოლვილური გამოცდილება სიფრთხილისკენ მიანიშნებდა მათ, მაგრამ უზომოდ ლიბერალურმა აზროვნებამ იძალა და ტოლერანტი ევროპის ქვეყნების ლიდერები დააპირისპირა ევროპის ნაკლებად ტოლერანტული ქვეყნების ლიდერებთან. მარტო უნგრეთი და მისი პრემიერ-მინისტრი ორბანი რად ღირს. ევროკავშირმა დაგმო მისი წევრი უნგრეთის მოქმედება და ლამის ფაშიზმად მონათლა უნგრეთის საზღვარზე მავთულხლართების გაბმა, დაუპატიჟებელი **„სტუმრებისგან“** თავის დასაცავად.

ორბანის კრიტიკოსთა შორის მერკელი გამოირჩეოდა. ლამის **„დედა ტერეზად“** ქცეულმა მერკელმა, არა მარტო ბევრი იღვაწა გერმანიაში ლტოლვილთა ღირსეული დახვედრისთვის, არამედ ყველაფერი იღონა ლტოლვილთა მიერ ჩადენილი დანაშაულის დასაფარავად. სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად ლტოლვილების მიუღებელი საქციელი არათუ მედიაში არ აისახებოდა, არამედ ლამის სამზარეულოშიც თავს არიდებდნენ ამ თემაზე მსჯელობას.

ლტოლვილი ყოველთვის მართალი იყო, მაშინაც, როდესაც საზოგადო აუზში ერთ-ერთმა ლტოლვილმა არასრულწლოვანი ბიჭუნა გააუპატიურა, მაშინაც, როდესაც სახალხო ზეიმზე ქალაქ კიოლნში, გოგონები მასობრივად შეურაცხყვეს; მაშინაც, როდესაც გოგონებმა, რომლებმაც უარი თქვეს ლტოლვილებთან სქესობრივ აქტზე, საპასუხოდ მუშტები მიიღეს სახეში.

ჩვეულებრივ ამბავად იქცა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გერმანელ ქალთა ჭკუის დარიგება – თუ არ გინდათ სქესობრივი კონტაქტი, შეეცადეთ ერთი მეტრის სიშორეზე იყოთ ლტოლვილებიდან. ასევე ჩვეულებრივ ამბად იქცა ლტოლვილი ახალგაზრდა მამაკაცების თავის მართლება – რა ვქნათ, მეოთხე თვეა ცოლთან არ გვიცხოვრიაო და ა.შ.

ერთი სრული წლის განმავლობაში გრძელდებოდა ლტოლვილთა აღვირახსნილობა წესრიგს დაჩვეულ ევროპელ მასპინძლებზე, რამაც მძიმე დაღი დაასვა ევროპულ ცხოვრებას. მერკელის უტოპიური ფილოსოფია – ლტოლვილების სწრაფ ადაპტაციასთან დაკავშირებით, კრახით დასრულდა, რაც აისახა კიდევაც გერმანიის ადგილობრივ არჩევნებში. მერკელის პარტიამ დამარცხება იგემა.

წელს ბუნდესტაგის არჩევნებია და თუ ხელისუფლების დაშვებული შეცდომებიდან გამომდინარე იმსჯელებს გერმანელი ამომრჩეველი, მერკელიც, საფრანგეთის პრეზიდენტის გზას გაუყვება. მოგეხსენებათ, ოლანდმა უარი განაცხადა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. მართალია მერკელს მსგავსი გადაწყვეტილება არ მიუღია, პირიქით, მეოთხედ აპირებს კანცლერის სავარძლისთვის ბრძოლას, მაგრამ აირჩევს შეურაცხყოფილი გერმანელი ამომრჩეველი?

თვით მერკელი 180 გრადუსით შემობრუნდა 2016 წლის დასაწყისში გამოვლენილი პროლტოლვილური პოლიტიკისგან. დღეს, ის ანტილტოლვილურ განცხადებებს აკეთებს. თუ რამდენად გულწრფელად, ღმერთმა იცის. შეუნდობს თუ არა მას გერმანელი ხალხი უხეშ შეცდომებს, მომავალ შემოდგომაზე გამოჩნდება.

**რაც შეეხება ლტოლვილებით აწიოკებულ ევროპის ქვეყნების მოსახლეობას, მათ აღარაფერი იხსნის, ვინაიდან ლტოლვილთა სამშობლოში დეპორტაცია ისეთივე აბსტრაქციაა, როგორც მათი უსწრაფესი ადაპტაცია. ევროპელები უნდა შეეგუონ, რომ ნიცის, ბერლინის, სხვა ქალაქების ტერორისტული აქტები ისტორიას კი არ ჩაბარდება, პირიქით გაფართოვდება.**

ტერორიზმი უსერიოზულეს საფრთხედ არის ქცეული კაცობრიობისთვის და მასთან ბრძოლა ერთი სახელმწიფოს ხელით ვერ მოიპოვებს წარმატებას. ტერორიზმს კოლექტიური ბრძოლა სჭირდება ანუ მთელი რიგი ქვეყნების გაერთიანება და ტერორიზმზე ერთიანი შეტევა. მსგავსს 2016 წელს არ ჰქონია ადგილი, ისე, როგორც წინა წლებში. თუ რას ჰქონდა ადგილი – სიტყვით ტერორიზმთან ბრძოლა ერქვა, საქმით – პირიქით.

ტერორიზმი ფაქტიურად მრისხანე იარაღად იქცა იმათ ხელში, ვინც ჰეგემონიზმისთვის, საკუთარი მიზნებისთვის იბრძოდა. ამ იარაღმა მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა მათ, მაგრამ ერთი რამ გამორჩათ მხედველობიდან – გაზრდილი მხეცი რომ გამზრდელსაც ჭამს. დღეს უკვე აღარავინ დაობს **„ალ-ქაიდას“, „ისლამური სახელმწიფოს“, „თალიბანის“** ავტორობაზე, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ამაში აშშ-ს ვერავინ შეეცილება.

პირველი ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა აშშ-ს სპეცსამსახურებმა ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრას დაუკავშირეს, მეორე – საბჭოთა კავშირის მემკვიდრის რუსეთის მოკავშირის სირიის ხელისუფლების დამხობას. ამ ტერორისტული დაჯგუფებების შექმნის ისტორიაც და მიზნებიც წყლის წვეთებივით ჰგავს ერთმანეთს, განსხვავება დროშია. პირველი მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებში შეიქმნა, მეორე – 21-ე საუკუნის პირველ დეკადაში. ორივემ მძიმე კვალი დაამჩნია მსოფლიოს, თანაც ისეთი, მომავალშიც რომ სისტემატურად შეგვახსენებს თავს.

აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ შექმნილი, გაწვრთნილი და შეიარაღებული ბანდიტები, შემდგომში თვით გამრავლდნენ და ლამის მთელ მსოფლიოს მოედვნენ. დიდია მათი შემოსავლები, შეიარაღებაც, და რაც მთავარია, მჭიდროა მათი კავშირები, როგორც დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურებთან და პოლიტიკოსებთან, ისე ახლო აღმოსავლეთის მდიდარ არაბულ ქვეყნებთან. ამდენად ტერორიზმთან ბრძოლა ფორმალურ ხასიათს ატარებს და შორს არის კონკრეტულისგან. როდესაც სირიაში მებრძოლ ტერორისტებს დასავლეთი მეამბოხეებად ნათლავს, ხოლო სირიის ლეგიტიმურ ხელისუფლებას – პირსისხლიან ჯალათად, ძნელია ერთიან ანტიტერორისტულ შეტევაზე ლაპარაკი.

ანტიტერორისტულ ბრძოლაში ორი დაჯგუფება გამოირჩევა – პირველი, აშშ-მა შექმნა კოალიციის სახით და მასში 62 ქვეყანა გააერთიანა. მეორე – რუსეთი, ირანი, სირიაა. პირველი რახანია ებრძვის ტერორიზმს, მეორემ – ბრძოლა, აქტიური და დაუნდობელი 2015 წლის შემოდგომით დაიწყო. მეორემ, პირველის გულის გასახეთქად, ერთი წლის ბრძოლით, სირიის ტერიტორიის დიდი ნაწილი გაათავისუფლა ტერორისტებისგან. პირველმა, ჯერ-ჯერობით რაიმე საგნობრივს ვერ მიაღწია.

პირველსა და მეორეს შორის ბრძოლა დიპლომატიურ მაგიდასთანაც გრძელდებოდა და ყოველი ახალი რაუნდი მიღწევად ითვლებოდა, თუმცა მოლაპარაკებიდან ერთი დღის შემდეგ, საერთო ვითარება ძველ კალაპოტს უბრუნდებოდა. მოლაპარაკებათა ინტენსივობა, განსაკუთრებით 2016 წლის დეკემბრამდე შეინიშნებოდა, თუმცა უშედეგოდ, რაც აშკარად მიანიშნებდა ამერიკელთა მხრიდან დროის გაყვანას. ამ ფარულ ღონისძიებას (დროის გაყვანას) თან ერთვოდა ანტირუსული მედიური კამპანია ლანძღვა-გინებით, შეურაცხყოფის მიყენებით, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად რუსეთმა, ირანმა და სირიის ხელისუფლებამ შეძლეს ქ.ალეპოდან ტერორისტების განდევნა.

აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ უფრო გაამწარა აშშ-ს ადმინისტრაცია, პირადად პრეზიდენტი ობამა, რომელმაც ერთ სიბრტყეზე დააყენა ტერორიზმი და რუსეთი. ვაშინგტონის მითითებით მძლავრი ანტირუსული PR-ი აგორდა, რომელმაც საქართველომდეც მოაღწია და ქართული პოლიტიკაც და ხელისუფლებაც ობამას მცდარ და ცრუ გზას გაუყენა. რუსეთი კი აგრძელებდა იმას, რასაც ტერორიზმთან ბრძოლა ჰქვია. მან მოახერხა ირანთან, თურქეთთან შეთანხმების მიღწევა და ასტანაში სამშვიდობო მოლაპარაკების დაგეგმვა.

ალეპოში გამარჯვების შემდეგ ბაშარ ასადის ხელისუფლებას ხელ-ფეხი გაეხსნა ოპოზიციასთან ლაპარაკში. ოპოზიციური ძალები დათანხმდნენ მოლაპარაკებაზე, რომელიც მალე გაიმართება. რუსეთის ნაბიჯმა მსოფლიოს დაანახა, თუ ვინ არის სირიაში მთავარი. და ეს ყველაფერი წელიწადნახევარში. შედარებისთვის – 3 წელზე მეტია ამერიკის მიერ შექმნილი კოალიცია ებრძვის ტერორიზმს სირიაში, თუმცა უშედეგოდ.

სირიის რუსულმა მაგალითმა დაანახა ყველას, ვისაც სიმართლე სურს, რას ნიშნავს ტერორიზმთან ნამდვილი ბრძოლა. ისიც დაანახა, რომ მარტო სიტყვით და უმოქმედო კოალიციით, ტერორიზმთან ბრძოლა შეუძლებელია.

ალეპოს განთავისუფლება სულაც არ ნიშნავს სირიის ომის დამთავრებას, მაგრამ უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, რომელსაც შეიძლება წარმატება მოჰყვეს ასტანის დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ისე, როგორც ფრონტზე, დიპლომატიაშიც ექნება ადგილი წინსვლას, რასაც უდავოდ ხელს შეუწყობს ობამას ადმინისტრაციის მოღვაწეობის დასრულებაც.

20 იანვარს აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ეყოლება და ახალი ადმინისტრაცია. მათ მიერ გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, ტერორიზმი უდიდესი საფრთხეა მსოფლიოსთვის. მომავალი პრეზიდენტის ტრამპის თქმით აშშ-ა და რუსეთმა ერთობლივად უნდა იბრძოლონ ამ სენის წინააღმდეგ. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ტრამპის სიტყვები ნამდვილი ანტიტერორისტული ბრძოლის მაუწყებელი იქნება და არაფრით დაემსგავსება მიმავალი პრეზიდენტის ობამას სიტყვებსა და საქმეებს.

გარდა ტერორიზმთან ბრძოლისა ტრამპის გუნდიდან სხვა მიმართულებითაც გაისმის დამამშვიდებელი განცხადებები, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების თაობაზე, რაც უდავოდ სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც, ვინაიდან 25 წლის განმავლობაში ვაშინგტონის ანტირუსულმა პოლიტიკამ ცუდ დღეში ჩააყენა საქართველო, მცდარი ილუზია გაუჩინა მას ამერიკის ყოვლისშემძლეობასთან დაკავშირებით, გაათამამა, გაათავხედა საქართველოს პოლიტიკა და ხელისუფლება, რამაც საბოლოო ჯამში ქვეყანა გააჩანაგა, დააკარგვინა ტერიტორიები, გააღატაკა მოსახლეობა.

ამერიკა-რუსეთის დაახლოება საბოლოოდ გაარკვევს რუსეთის როლს კავკასიაში, ყოფილ საბჭოთა სივრცეში. არჩეული პრეზიდენტის ტრამპის გუნდიდან ისმის ხმა ორ ქვეყანას შორის შემრიგებლად რესპუბლიკელი კისინჯერის შერჩევის თაობაზე.

ცნობილი პოლიტიკოსი და მეცნიერი, დოქტორი კისინჯერი ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ახალმა ადმინისტრაციამ ჯეროვნად უნდა შეაფასოს რუსეთის როლი მსოფლიოში, მისი პოტენციალი, სამხედრო ძლიერება და სურვილი ამერიკასთან ერთად მოაგვაროს, როგორც ტერორიზმთან ბრძოლის საკითხები, ისე მსოფლიოს სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები; რომ აშშ-ა უნდა ცნოს რუსეთის გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რის წინააღმდეგი იყო ობამას ადმინისტრაცია.

თუ რამდენად გაითვალისწინებს ტრამპი კისინჯერის რჩევებს ან დანიშნავს თუ არა კისინჯერს მთავარ შემრიგებლად, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

მსოფლიო დიდი მოლოდინის წინაშეა. 20 იანვრის შემდეგ სხვაგვარად განვითარდება მოვლენები, ცხადია არა ისე, როგორც ზოგიერთ ამერიკელ სენატორს, მათ შორის მაკკეინს და მასზე აყოლილ საქართველოს ხელისუფლებას ჰგონია.

ტრამპის ამერიკა სხვა იქნება, განსხვავებული ობამას, ბუშის, სხვა პრეზიდენტების ამერიკისგან. ტრამპი ახალი სიტყვაა აშშ-ს პოლიტიკაში და უნდა ვიმედოვნოთ, რომ მისი სიტყვა გამოაფხიზლებს 25-წლიან საღათას ძილში მყოფ საქართველოს პოლიტიკას.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ანტიბერიასეული კამპანიის მიზეზი (მისი მოკვლის შედეგ) **დასავლეთს საკმაოზე მეტი ჰქონდა, რომელმაც აშკარად წააგო დაზვერვითი ომი** და თავიდან ვერ აიცილა ინფორმაციის გაჟონვა **"მანჰეტენის პროექტიდან"**, რის შედეგადაც ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ ატომური იარაღის მფლობელი გახდა საბჭოთა კავშირი. წყალბადის ბომბის შექმნაში კი საბჭოთა კავშირმა დიდი ხნით ჩამოიტოვა უკან ამერიკა.

მაგრამ ყველაზე ძლიერად ბერია სძულდა საბჭოთა კავშირის პარტიულ, საბჭოთა და სამხედრო ნომენკლატურას. **"წყეული კასტა"** – ამ სიტყვებით დაახასიათა აღნიშნული ნომენკლატურა სტალინმა, როცა გაიგო, რომ სამამულო ომის დასაწყისში ქალაქ კუიბიშევში (სამარა) ევაკუირებულმა მოსკოველმა ჩინოვნიკებმა საკუთარი შვილებისათვის მოაწყვეს განსაკუთრებული, დახურული სკოლები. სწორედ ომისშემდგომ ფორმირებულ ნომენკლატურას, რომელმაც თავი **"ელიტად"** ჩამოიყალიბა, ეშინოდა ყველაზე მეტად ბერიას პრინციპულობისა. სწორედ ბერიას სიკვდილმა გაუხსნა გზა **"პერესტროიკას"** და მის კვალდაკვალ მოძალებულ კატასტროფას.

**ამასთან, ეს პროცესი დასავლეთმა აამოქმედა მანამდე დიდი ხნით ადრე, ვიდრე საბჭოთა კავშირის სათავეში მოიყვანდნენ "სტავროპოლელ კომბაინერს"** (იგულისხმება მიხეილ გორბაჩოვი).

ინფორმაციულ ომში საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგეთა გამარჯვების მწვერვალი გახლდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად მ.ს. გორბაჩოვის არჩევა. მისი დაწინაურება სკკპ ცეკას და სსრკ კგბ-ს სტრატეგიული დამარცხება გახლდათ, მაგრამ, ამავდროულად, ეს იყო მათი გამარჯვება, ვინც ქვეყნის სათავეში მოიყვანა ბრიტანეთის ფავორიტი, გლობალისტ-ტროცკისტი მიხეილ გორბაჩოვი.

**მთელ ამ პროცესს სათავე დაუდო გლობალისტ-ტროცკისტმა ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვმა (ლავრენტი ბერიას მოკვლის შემდეგ), რომელმაც გაანადგურა ბერიას მიერ შექმნილი საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მოღვაწეობის კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის სტალინური სისტემა, რამაც გამოიწვია "სუსტი რგოლების" გაჩენა საბჭოთა ნომენკლატურაში, საითკენაც მიმართეს მთელი თავისი ძალისხმევა დასავლეთის სპეცსამსახურებმა.** ჩვენი ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც მაღალი ნომენკლატურა განთავისუფლდა კონტრდაზვერვის მახვილი თვალისაგან, ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ამ ნომენკლატურაზე კონტროლი დაამყარა. ცნობილია, რომ საკუთარი მოღვაწეობის ფარგლებში გამოძიების ფედერალური ბიურო ახორციელებდა რიგ გამოყენებითი ხასიათის კვლევებს, რაც მიმდინარეობდა ამერიკის პრეზიდენტის, ან გენერალური პროკურორის (იუსტიციის მინისტრის) მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. მაგალითად, მიმდინარეობდა ფედერალურ უწყებებში დასანიშნი კადრების პირადი თვისებების მკაცრად შემოწმება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური გამოძიება ამერიკაში მაღალ დონეზეა აყვანილი და სრულად პასუხობს ამერიკის ეროვნულ ინტერესებს.

...გრანდიოზული ოპერაცია ჩაფიქრებული იქნა მოსკოვში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შტატიანი თანამშრომლისა და დიპლომატის ჯ. კენანის მიერ, რაც აისახა მის მიერ 1946 წლის თებერვალში ამერიკაში გაგზავნილ **"გრძელ დეპეშაში"**. სწორედ კენანმა მიაქცია ყურადღება იმის აუცილებლობას, რომ ამერიკის სპეციალური სტრუქტურები უნდა გააქტიურდნენ საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ლიდერების ცვლის დროს. კენანმა მოახერხა საბჭოთა კავშირში სუსტი რგოლის აღმოჩენა – ძალაუფლების ერთი პირის ან ჯგუფის ხელიდან მეორეზე თანდათანობით გადაცემის პროცესებში არსებული პრობლემები.

ამრიგად, სწორედ კენანმა, რუსეთში დიდი ხნის განმავლობაში მცხოვრებმა ამერიკელმა განსაზღვრა სწორად მთავარი შეტევის მიმართულებები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამართულ ინფორმაციულ ომში. სწორად კენანმა განაცხადა, რომ მიმდინარე ეტაპზე აუცილებელია შეიქმნას **"გენერალური პოლიტიკური შტაბი"**, ესე იგი, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინფორმაციული ომის გამჩაღებელი გენერალური შტაბი. კენანს, ალბათ, უპირველესად მხედველობაში ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შექმნილმა, საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს ბაზაზე ჩამოყალიბებულმა საინფორმაციო ომის გენერალურმა შტაბმა, რომელსაც ალენ დალესი ხელმძღვანელობდა, ბრიტანულ-ამერიკული დაზვერვის წინაშე დასვა მთავარი ამოცანა – მოძებნონ და დააწინაურონ საბჭოთა ნომენკლატურაში ადამიანები, რომელიც ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირის დანგრევის პროცესებს. დაიწყეს მომავლის გორბაჩოვებისა და იაკოვლევების ძებნა საბჭოთა ნომენკლატურის შრეებში, რომელთაც საჭირო დროს უნდა დაეგვირგვინებინათ საბჭოთა კავშირის დამანგრეველი პროცესები.

კენანმა ასევე გამოჰყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაჩაღებული მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის საინფორმაციო ომის ძირითადი მიმართულებები – საიდუმლო საინფორმაციო ოპერაციების ჩატარების თაობაზე, რომელმაც ზემოქმედება უნდა მოახდინოს გარდამავალ პერიოდში, სსრ კავშირში პოლიტიკური ელიტის ცვლილებისას, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებზე.

კენანმა, ამერიკელი მზვერავის შვილმა, რომელიც მრავალგზის იმყოფებოდა რუსეთში, საგულდაგულოდ გააანალიზა რუსეთის მიერ გადაწყვეტილებათა პროცესებში ბრიტანეთის იმპერიის დაზვერვის ინფორმაციულად ჩარევის გამოცდილება. განა სწორედ ბრიტანეთის დაზვერვამ **მი-6**-მა არ დანიშნა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრად 1910 წელს საზონოვი, რომელმაც ტიტანური შრომა გასწია საიმისოდ, რომ რუსეთი ჩაეთრია პირველ მსოფლიო ომში, რაც მას საერთოდ არაფერში სჭირდებოდა.

კენანმა სწორად განსაზღვრა საბჭოთა კავშირში სახელისუფლებო რწმუნებულების ერთი ხელიდან მეორეში გადასვლისას წარმოქმნილი უდიდესი სირთულეები. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების შემდეგ გაჩაღდა გააფთრებული შიდაპარტიული ომი. ბრიტანეთის იმპერიის დაზვერვის რჩეული საბჭოთა კავშირის სათავეში გახლდათ ტროცკი-ბრონშტეინი. მაგრამ ბრიტანეთის იმპერიის ძალებთან ბრძოლაში გაიმარჯვა იოსებ სტალინმა, რომელსაც მხარს უჭერდნენ რუსეთის დაზვერვის საუკეთესო წარმომადგენლები – სამხედრო-პატრიოტული ძალები. **"ლენინის სიკვდილი გახლდათ სწორედ პირველი ამგვარი გადასვლა და მისმა შედეგმა დამღუპველად იმოქმედა რუსეთზე მომდევნო 15 წლის განმავლობაში. სტალინის სიკვდილის ან გადაყენების შემდეგ დადგება მეორე ასეთი მომენტი",** – გააანალიზა კენანმა ბრიტანეთის დაზვერვის ნეგატიური გამოცდილება და შეიმუშავა კონცეპტუალური რეკომენდაცია სტალინის სიკვდილისშემდგომი შიდაპოლიტიკური ბრძოლის მეორე ეტაპისათვის, რაც ფაქტიურად გახლდათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამართული საინფორმაციო ომის სტრატეგიული მიზანი.

სწორედ კენანმა დაიწყო **სტრატეგიული საინფორმაციო ოპერაცია "ანტი-სტალინი", რომლის მთავარი მიზანი გახლდათ ჩვენი დიდი სამშობლოს ისტორიული წარსულის დისკრედიტირება. ოპერაცია "ანტი-სტალინში" დიდი როლი ითამაშა ავანტიურისტმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა, რომელსაც საბჭოთა კავშირში იოსებ სტალინის სიკვდილის შემდეგ გამართულ შიდაპარტიულ ბრძოლაში საიდუმლოდ უჭერდა მხარს ალენ დალესი.** ნიკიტა ხრუშჩოვი, ტიპიური მცირემცოდნე, გაუნათლებელი და ხეპრე ნომენკლატურული ვოლუნტარისტი შესანიშნავი სათამაშო გახლდათ 1951 წელს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში სპეციალურად შექმნილი ფსიქოლოგიური ომის წარმოების სამმართველოს ხელში.

ისტორიკოსი ა. მარტიროსიანი წერდა: *"იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სიკვდილიდან რამდენიმე დღეში ხრუშჩოვის გვერდით გამოჩნდა ვინმე პ.ნ. პოსპელოვი (იგივე ფოგელსონი), მომავალში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი. სწორედ მან მოამზადა ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ XX ყრილობაზე, სწორედ იგი აწვდიდა ინფორმაციას სკკპ ცეკას პირველ მდივანს, სინამდვილეში კი ქმნიდა მისთვის ნამდვილ* ***"ინფორმაციულ ვაკუუმს"*** *წინარე ისტორიის სიმართლეზე. იგი, ამავდროულად,* ***"აკეთილშობილებდა"*** *პარტიის XXII ყრილობის სტენოგრამას. და, აი, რა არის საინტერესო ამ ფოგელსონთან დაკავშირებით. როგორც აღნიშნავს წიგნ* ***"კოშმარის ლოგიკის"*** *ავტორი ანატოლი ივანოვი, პოსპელოვი როგორც ფოგელსონი ფიგურირებდა ვინმე ჰასან ჯემალის მიერ შედგენილ საბჭოთა მაღალჩინოსან მასონთა სიაში – 1976 წელს. ამ ფსევდონიმით თურქეთში გამოიცა სქელტანიანი წიგნი "მასონობა მსოფლიოში და თურქეთში". დღემდე სრულიად უცნობია, თუ ვინ დგას ამ ფსევდონიმს მიღმა. საგულისხმოა, რომ 1980 წელს თურქეთში გენერალ ქ. ევრენომის მიერ* ორგანიზებული მორიგი სამხედრო გადატრიალების შემდეგ ამ წიგნის მთელი ტირაჟი როგორც მოსახლეობიდან, ასევე სავაჭრო ქსელიდან ამოღებული განადგურებული იქნა."

სწორედ ხრუშჩოვის ტიპაჟის შესაბამისად შეირჩა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის კანდიდატურა, რომელიც აკმაყოფილებდა კავშირის საგარეო პოლიტიკის ნიუანსებს. **ამიტომ იქნა შერჩეული მიხეილ გორბაჩოვის კანდიდატურა, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვის მსგავსი პიროვნებისა** (ი. პანარინი – რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის პროფესორი).

ამიტომაა მნიშვნელოვანი იმის აღქმა, თუ რატომ თხვრიან დღემდე ლაფში საბჭოთა კავშირის მარშალ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას სახელს დასავლეთის სადაზვერვო და საფინანსო სტრუქტურებთან შეზრდილი **"ნომენკლატურული კასტის"** შთამომავლები.

შეიძლება იმიტომ, რომ სიკვდილივით ეშინიათ ისტორიული ჭეშმარიტების გამარჯვებისა, რომელიც სააშკარაოზე გამოიტანს მათ მიერ კულტივირებულ ყველა სიყალბეს?

ერთხელ სტალინმა თქვა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ბელადის საფლავზე ბევრი ნაგავი დაიყრება, მაგრამ ისტორიის ქარიშხალი გადახვეტავს ამ ნაგავს. იგივე შეიძლება ითქვას ბერიას თაობაზეც.

...მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ლავრენტი ბერია?

საიდან გაჩნდა მუდამ **"სტაჟიანი რევოლუციონერებით"** გარშემორტყმული საბჭოთა ბელადის გვერდით ეს ტანდაბალი, საკმაოდ ელამი, სიმსუქნისაკენ მიდრეკილი, მაგრამ ენერგიული და მოძრავი ქართველი? დღეს არავინ იცის, როდის შეხვდა ბერია სტალინს – 1921 წელს თუ 1930 წელში... და მხოლოდ ამ შეხვედრის წყალობით მოხვდა ბერია დიდ პოლიტიკაში? და არავინ იცის, ვინ უფრო კმაყოფილი უნდა ყოფილიყო ბედის – ბერია, რომელიც ბედმა 1930 წელს ხელისუფლების მწვერვალზე აიყვანა უდიდესი ადამიანის გვერდით, თუ სტალინი, რომელსაც ბედმა უბოძა ყოვლისშემძლე ადამიანი, რომელიც ღვთივბოძებული სახელმწიფოს მართვაში ბელადის ერთადერთი მთავარი დასაყრდენი გახლდათ. ადამიანი, რომელსაც თავისი ჭკუით, ორგანიზატორული ნიჭით, ნებისყოფით, სინდისითა და ავტორიტეტით შეეძლო სისრულეში მოეყვანა ბელადის ყველა ჩანაფიქრი, რომელსაც სტალინი ვერ ახერხებდა ვერც 34-ში, ვერც 37-ში და ვერც 53-ში, როცა ტოტალური ეჭვებითა და სასჯელებით დაშინებული ქვეყანა ესოდენ რუდუნებით ელოდა სიახლეებს.

ჩვენ ახლა მოვახდენთ იმ ადამიანის ციტირებას, რომელმაც გაბედა და პირველი აღსდგა ბერიას სახელის დასაცავად. იგი გახლავთ იური მუხინი.

**"იოსებ სტალინს, შემდეგ კი ლავრენტი ბერიას, სურდათ იმის გაკეთება, რაც კატეგორიულად არ მოსწონდათ საბჭოთა კავშირის პოლიტიკოსებს. და ამ რაღაცას, სტალინის არქივისა და ცოცხალი ბერიას ჩანაწერების გახმოვანებით შეეძლო ხალხთა მასების განწყობის შექმნა, რასაც განამტკიცებდა როგორც ერთის, ასევე მეორეს დიდი ავტორიტეტი. სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი მათი სახელების ლაფში ათხვრა, რათა ხალხში გაძლიერებულიყო უნდობლობა და სიძულვილი მათი საქმეების მიმართ. მხოლოდ ამ ჰიპოტეზით შეიძლება აიხსნას მომხდარი".**

მაგრამ არა ყველა საქმეები! 1930-1960 წლების მოვლენათა შესახებ ფართო მკითხველ საზოგადოებას (ეს ისევ ჩვენ ვართ) დღეს ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნია. და თუ რამ სმენიათ, არ არის გამორიცხული, რომ ყოველივე მოსმენილი აქვთ **"გაუკუღმართებულად"**.

ამიტომ, ვიდრე მკითხველს ვაუწყებთ იმის თაობაზე, თუ **რისი გაკეთება** სურდათ იოსებ სტალინსა და ლავრენტი ბერიას, აუცილებლად უნდა გავეცნოთ ბიოგრაფიულ ცნობებს ლავრენტი პავლეს ძეზე. XX საუკუნის დასაწყისის **"კავკასიელ ტყვეზე"**.

## კავკასიელი ტყვე

***"ვერასოდეს ცხოვრების ზედაპირზე ვერ ამოტივტივდება ის, რომელიც არ აკეთებს იმას, რასაც ეუბნებიან, ან ის, რომელიც არ აკეთებს იმაზე მეტს, რასაც ეუბნებიან"***

**ენდრიუ კარნეგი**

ბერიას უყვარდა კავკასია. იგი მოჯადოებული იყო ამ მზიური მხარის მომაჯადოვებელი სილამაზით; იგი მუდამ შრომისმოყვარე, მორჩილი ადამიანების გარემოცვაში იმყოფებოდა. სწორედ კავკასიაში დაიბადა ბერია როგორც პოლიტიკური მოღვაწე; სწორედ აქ გამოვლინდა მისი, როგორც ხელმძღვანელის განსაცვიფრებელი ორგანიზატორული ნიჭი.

16 წლის ასაკში (1915 წელს) ჩაითრია იგი საზოგადოებრივი კატაკლიზმების მორევმა: ჯერ ბაქოს ტექნიკური სასწავლებლის მასშტაბით, სადაც თანატოლებმა და მარქსისტული წრის თანამოაზრეებმა მას ჩააბარეს პარტიული სალარო (!). იცოდნენ, რომ იგი სუფთა ხელების მქონე პიროვნება იყო. მერე მასშტაბები გაიზარდა... მიუხედავად იმისა, რომ ხელი უფრო წიგნებისაკენ გაურბოდა, ვიდრე პროკლამაციების, პაროლებისა და რევოლვერისაკენ. იმ პერიოდში ლენინის ანდერძის თაობაზე კავკასიაში ბევრი არაფერი იცოდნენ, ისევე, როგორც თავად ლენინის შესახებ. მაგრამ, აი, არქიტექტურა!.. იგი ისევე იხმობდა დამწყებ რევოლუციონერს, როგორც პირველი სიყვარული. მაგრამ ეს ყოველივე მიუწვდომელი იყო, რადგან ბერიას მშობლებმა ნახევარი სახლი გაყიდეს არა მისი ქორწილისათვის, არამედ იმიტომ მას ცოდნა მიეღო! რათა სოხუმის ახლოს მდებარე მერხეულიდან გამოსულ გლეხის ბიჭს ღირსეული ადგილი დაეჭირა დიდი აღმშენებლის გვერდით. მაგრამ ბედმა სხვაგვარად ინება. თუმცა, ფაქტია, რომ არქიტექტურისადმი ლტოლვა ლავრენტი ბერიას გაჰყვა სიცოცხლის დასასრულამდე. აღმშენებლობის დაუძლეველი სურვილი...

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**

***(გაგრძელება იქნება)***

# თაღლითები მუდამ თაღლითებად რჩებიან — სააკიანცი კაპიტოლიუმის შენობის ფონზე!





სხვა რითი უნდა ენუგეშებინა მიშას ნაცსექტანტები, გარდა იმისა, რომ თავი წარმოეჩინა ტრამპის ნაუგურაციაზე მიწვეულ მსოფლიო დონის პოლიტიკოსად. ამიტომაც იყო, რომ ნაცბანდის 20 იანვრის ყრილობაზე სკაიპით რომ ჩაერთო დარბაზში, მის ფონს ამერიკის კაპიტოლიუმის შენობა **"ამშვენებდა"**.

ამ ვერსიის გასამყარებლად ხელისუფლებაშემოძარცვულმა მიშამ **"მორიდებულად თქვა": "აუცილებლად დავესწრებოდი ყრილობას, მაგრამ რა ვქნა, ტრამპმა პირადად მიმიწვია ინაუგურაციაზე და უარს ვერ ვეტყვიო"**.

აი, იმათ თავში ჩამახედა, ვინც დაიჯერა, რომ ეს ნაგიჟარი მაწანწალა ტრამპმა ინაუგურაციაზე დაპატიჟა. უეჭველია, რომ მათ ფეტვი აქვთ ტვინის ნაცვლად, რადგან მიშა უკვე საქართველოში აღარავის ახსოვს და ტრამპისათვის ხომ საერთოდ არ არის ანგარიშში ჩასაგდები. მაგრამ თავხედი და უტიფარი დაშნაკია ეს არაკაცი და ყოველნაირად ცდილობს პოლიტიკურ მორევში არ ჩაიძიროს და ზედაპირზე იტივტივოს. მაგრამ ის რატომღაც არ იცის, რომ წყალში ბევრი სხვა რამეც არ იძირება!

საინტერესოა, რას წერს სააკაშვილი ტრამპის ინაუგურაციისას გადაღებულ ფოტოებზე.

ნაცების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინაუგურაციას უნდა დასწრებოდა და ცერემონიაზე მიწვეულიც იყო. ის 20 იანვარს ნამდვილად იმყოფებოდა ვაშინგტონში, მაგრამ ტურისტად, თუმცა სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოები, წარწერით — **"მიხეილ სააკაშვილი დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე"**. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, რომ სააკაშვილი ცერემონიალზე სულაც არ არის.

უკრაინულმა ინტერნეტპორტალებმა **"ევროპული უკრაინის"** დიპლომატიური მისიის ვიცე-პრეზიდენტის ალი რეზა რეზაზადეზე დაყრდნობით გაავრცელს ინფორმაცია, რომ თითქოს სააკაშვილი ინაუგურაციაზე დაცვამ არ შეუშვა.

როგორც ირკვევა რეზაზადე თვითონ იმყოფებოდა ინაუგურაციაზე. მან სოციალურ ქსელში დაწერა: **"მე მისგან შორს ვიმყოფებოდი, თუმცა ჩემმა მეგობრებმა გვერდით ჩაუარეს "ჩამოგდებულ მფრინავს", რომელიც ბუჩქებში იმალებოდა. პრეზიდენტ ტრამპის გულითადი მეგობარი მისგან შორს იმყოფებოდა და ისიც კი ვერ შეძლო, დაცვა გაევლო, რადგან ახლოს მას არ უშვებდნენ"**.

**აი, აღნიშნული ინფორმაციაც:** "Бывший президент Грузии и экс-губернатор Одесской области Михаил Саакашвили на инаугурации Дональда Трампа не смог пройти охрану, чтобы подойти поближе к месту основных событий. Об этом сообщает интернет-газета «Страна», ссылаясь на первого вице-президента дипломатической миссии «Европейская Украина» Резазаде Али Реза, который присутствовал на церемонии. Он напомнил, что после избрания нового президента США Саакашвили заявил о своей дружбе с ним и опубликовал видео визита Трампа в Грузию. Правда, на инаугурации Саакашвили досталось далеко не самое почетное место. «Я находился далеко от него, но мои друзья проходили мимо него и видели сбитого летчика, спрятавшегося в кустах. Яркий друг президента США стоял далеко и даже не мог пройти охрану, потому что ближе его не пускали», – сообщил Резазаде, выложивший в социальной сети соответствующие фотографии."

ამ ინფორმაციას გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილიც, რომელმაც **"ფეისბუკის"** ოფიციალურ გვერდზე ფოტოები შემდეგი წარწერით გამოქვეყნა:

**"შევთავაზეთ უკრაინულ ტელეარხებს დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე ჩემი ყოფნა გაეშუქებინათ, თუმცა ყველამ უარი თქვა. სამაგიეროდ მათგან ბევრი ერთხმად ავრცელებს ფოტოებს, რაც გადაიღეს ადამიანებმა რუსული კავშირებით, მაშინ, როდესაც ინაუგურაციიდან გამოსული ჩემი ჯგუფის სხვა წევრებს ველოდი. უღირსები რჩებიან უღირსებად. მე არაფრის დამტკიცება და მოყოლა არ მჭირდება..."**

შემდეგ სააკიანცი ისეთ თავხედურ სიცრუეს აფრქვევს, რომ ნორმალური ადამიანი ამდენს ნამდვილად არ იკადრებს, მაგრამ სად მიშა და სად ნორმალური საქციელი?

**"...ბოლო რამდენიმე კვირა ტრამპის გუნდის წევრებს ვეკონტაქტებოდი, რომელთაგან ბევრს პირადად ვიცნობ და ვაპირებ, აქტიურად ვითანამშრომლო ამ ადმინისტარციაში უკრაინის მეგობრებთან, რა "მტკიცებულებებსაც" არ უნდა ავრცელებდნენ ჩვენი მტრები.**

**ხან აეროპორტში მიღებენ, ხანაც ცერემონიიდან გამოსვლისას და შემდეგ ყველანაირ სისულელეს აბამენ. ყველაფერი ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და მტრებს ჩვენი ეშინიათ.**

**დაე, გააგრძელონ შავი პიარის აგორება. ჩვენ კი გავაგრძელებთ მუშაობას ჩვენს ყველა პარტნიორთან და მეგობართან იმისთვის, რომ უკრაინის საერთაშორისო პოზიციები გავაძლიეროთ. კარგი იქნებოდა ისინი თავის რესურსებს ხარჯავდნენ სწორედ ამაში და არა აეროპორტებსა თუ ტუალეტებში ჩემს დევნაში.**

**ჩვენი მოქალაქეების ნდობის მოსაპოვებლად, არ მჭირდება, ჩემი პირადი საერთაშორისო მეგობრული კავშირებით სპეკულირება. ჩემი ბრძოლის ველი — უკრაინა და უკრაინული პოლიტიკაა, რომლიდანაც აუცილებლად გავიტანთ მასზე ჩაბღაუჭებულ ბარიგებს".**

**"თუ მართლა იყო ინაუგურაციაზე, ერთი სურათი თვითონაც დაედო"** — წერს ვიღაც მოქალაქე სოციალურ ქსელში, მაგრამ რას დადებდა, რაც არ ჰქონდა და პირველ ბარიერს იქითაც კი არ დაუშვეს დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა.

მახსენდება, ეს ფრთაჩამოგდებული სატანა, ჯერ კიდევ პრეზიდენტობისას როგორ ელოდა კორიდორში პრეზიდენტ ბარაქ ობამას და როცა ეს უკანასკნელი კორიდორში გამოჩნდა, მივიდა, ხელი ლამის ნაძალადევად ჩამოართვა და მისმა დაქირავებულმა ფოტოგრაფებმა სურათები გადაიღეს, რომელსაც ნაცები თვეობით ატრიალებდნენ სოციალურ ქსელში იმის მტკიცებულებად, რომ ამერიკის პრეზიდენტი სააკაშვილის გარეშე პურს არ ჭამსო!

მოკლედ, ტრამპის ინაუგურაციიდან სააკიანცს პირდაპირ **„ბუჩქებში"** უკრეს თავი!

მაგრამ, იხტიბარს მაინც არ იტეხავს ეს არარაობა და ცდილობს კვლავ შეცდომაში შეიყვანოს საქართველოს მოსახლეობის შედარებით ბნელი ნაწილი იმის მტკიცებით, რომ მსოფლიო პოლიტიკაში კვლავ ანგარიშგასაწევ ძალად ვრჩებიო!

არ დაუჯეროთ, ადამიანებო ამ ბეწვგაცლილ დაშნაკ ტურას, რომელსაც უკვე სამუდამოდ აქვს ფეხი ამოკვეთილი პოლიტიკიდან!

ჯანდაბამდეც ჰქონია გზა!

**რ. შალამბერიძე**

# უმადურობა უჯიშობის არის ნიშანი

საქართველოში ოდითგანვე დაფასებული იყო სიკეთის მკეთებელი, ერთგული ანუ კეთილი ადამიანები, მათ მიმართ გამოხატავდნენ პატივისცემას, მადლიერებას. ამ ბოლო პერიოდში ძალიან მომრავლდნენ ამ თვისებების არმქონე ანუ უმადური არსებები. რომელთაც არათუ სიკეთის გაკეთების, არამედ მისი დანახვის, შეფასება-დაფასების, მადლიერების გამოხატვის უნარიც არ გააჩნიათ.

ძალიან სამწუხაროა, რომ უმადური ადამიანები იყვნენ და არიან ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. უმადურობის კლასიკური მაგალითები გვიჩვენეს ჩვენმა პრეზიდენტებმა (გარდა ზვიად გამსახურდიასი). უმადურობა მათი ხელწერაა. ედუარდ შევარდნაძემ მის დამფასებელ, პატივისმცემელ და ასპარეზზე გამომყვან ვასილ მჟავანაძეს არა თუ ამაგი დაუფასა, არამედ უდიერად მოექცა და გზიდან ჩამოიშორა. მისი ამ უმადურობის მაგალითი **"ბრწყინვალედ"** გაიმეორა მისმა მოსწავლემ მიხეილ სააკაშვილმა რომელმაც ედუარდ შევარდნაძე, რომლის ძალისხმევითაც გახდა ის საქართველოში პირველი პირი, სანაგვეში მოისროლა. შევარდნაძესა და სააკაშვილს ტოლი არ დაუდო გიორგი მარგველაშვილმაც. მან მის პრეზიდენტად დამსმელს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც პატარა ბავშვივით დაატარებდა ქალაქ-ქალაქ და ეხვეწებოდა მოსახლეობას ეს კაცი პრეზიდენტად აირჩიეთო, პრეზიდენტად არჩევისთანავე უყელა დაუპირისპირდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის **„ღირსნი არიან"** ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც ამჟამად რუსეთში მოღვაწეობენ. მათ მრავალი წელი გაატარეს იქ, შექმნეს ოჯახები, ეწევიან ბიზნესს, დააგროვეს დიდძალი ქონება, უზრუნველყოფილნი არიან ყოველნაირად, რუსეთში ნაშოვნი ფულით არჩენენ საქართველოში ოჯახებს, ნათესავებს, ახლობლებს, სარგებლობენ რუსეთში არსებული ყველა სიკეთით და პრივილეგიებით, თუმცა ყოველივე ეს რატომღაც არაფრად არ მიაჩნიათ და სიკეთის დაფასების სანაცვლოდ დღე და ღამე რუსეთისა და მისი პრეზიდენტის ძაგებაში და გინებაში არიან. მე მრავალ ასეთ ადამიანს შევხვედრივარ, რუსეთიდან საქართველოში დროებითჩამოსულს, რომლებიც სამწუხაროდ იმ ფეხის ხმას არიან აყოლნილნი, რაც საქართველოშია დამკვიდრებული — რუსეთის, მისი პრეზიდენტისა და ყოველგვარი რუსულის ლანძღვა-გინება.

არ ვიცი რაღა გვჭირს, საიდან დაგვერია ეს საშინელი სენი, რასაც უმადურობა ჰქვია, ყველაზე დიდი სისაძაგლე და ბოროტება ამ ქვეყნად არსებულ სისაძაგლეთა და ბოროტებათა შორის. ადამიანს, რომელსაც არ გააჩნია მადლიერების გრძნობა არაადამიანია. **„ძაღლი უმადურ კაცზე უკეთესია — სიკეთე ახსოვს"** გვამცნობს სპარსული ანდაზა, ხოლო ცნობილი დაღესტანელი პოეტი რასულ გამზათოვი კი თავის ერთ-ერთ ლექსში დიდებულად ბრძანებს: **„თვითონ ძაღლსაც ახსენდება შენი ლუკმის გემო, შენს პატივს არ დაივიწყებს ყოველ დღე რომ სცემო და კაცი კი, ზოგი კაცი რომ გადაჰყვე თანაც, სულ პატარა წყენისათვის ყელს გაგიყრის დანას"** და ბოლოს — ქართული სიბრძნე უმადურობას უჯიშობას აბრალებს **„უმადურობა უჯიშობის არის ნიშანი"**.

**ლადო ქირია,**
**სპეციალურად „ილორისათვის"**

პოეზიის კუთხე

## ჩემო საფიც-სახატეო

ჩემის მშობელი მიწა ხარ, თანაც
საძვალე ჩემია,
შენზე ფიქრების გარეშე არ
დაილევა დღენია.
ჩემთვის ხარ ხატი-სალოცი, სიცოცხლე
სიხარულია,
მოურჩენელი სენი მჭირს — სამ-
შობლოს სიყვარულია.
აეროს ნაძვნარ-ფიჭვნარი, სა-
თანჯოს ბადრი მთვარეო,
იმ შენი მიწის სურნელს და
ორთქლ-ცვარსაც ვენაცვალეო.
ჩემთა წინაპართ საფლავი სათუთად
შემინახეო,
უმორჩილესად ერთსა გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო!
იმ ჩვენსა ძველსა "გოგიელს"
დატანჯულ გალის გარემოს,
ჯერაც იმედი არა მაქვს — ვიხილავ
დღეს ან ხვალეო.
თურმე რა ძნელი ყოფილა, ანდა
როგორი მწარეო,
უშენოდ ყოფნა ძვირფასო, ნატრულო
აფსნის მხარეო.
სულ შენზე ვფიქრობ დევნილი,
წუხელ სიზმარშიც გნახეო,
თან თვალწინ მიდგას იცოდე,
შენი იერი-სახეო.
ნუ მიწყენ, ჩემო ძვირფასო, რომ
ვეღარ დაგიფარეო,
ძირძველო სამურზაყანოვ, ისტორიულო
მხარეო!
მძიმე წლები, უშენობით, საუკუნე
განვლე თითქოს,
თუმც ფიქრებით შენთანა ვარ,
შენს მიწაზე დავალ ვითომ.
ანდერძს ვტოვებ, როს მოვკვდები,
ვინცა მიცნობს და არ მიცნობს
სხვა მიწა არ დამაყარონ, სხვა
მიწას, მე, მკვდარიც ვიცნობ!

**იური კაკავა,**
ქ. ზუგდიდი

## სნეული გული

სნეულ სამშობლოს შემყურე კაცი,
თვით სნეულია განუკურნელი,
ღმერთმა დალოცოს ქვეყნის ერთგულნი,
ერი და ბერი ხალხზე მზრუნველი.
არ მიყვარს ვარდი, სურნელგამქრალი
და არც უგულო მეგობართ თმენა,
ვინც ერთგულია ქვეყნის და ერის,
მსურს მათ გაუყო ჭირი და ლხენა.

## სოხუმის გახსენება

ხომ დარწმუნდი უშენობით არ ვყოფილ-
ვარ,
ეს დროება უმადურად გავატარე
და ხომ იგრძენ შენს სიშორით რა
მიქენი,
სულში დამჭერ, გულში დარდი ჩამატანე.
რა თქმა უნდა ჩემი დარდი მე შემომრჩა,
არ მომხდარა იგი სადღაც თარეშობდეს,
მე ჩემს ბილიკს გავუყვები მარტოდ-
მარტო,
რადგან შენთან ვეღარ მოვალ, ვერა-
სოდეს.
თვალის მზერა შენკენ მქონდა მიპყრო-
ბილი,
აღარ მჯერა უჩემობას ვეღარ გრძნობდე!
ჩემთვის ვფიქრობ.., მსგავსი სადმე თუ
მომხდარა,
არც სხვებისგან გამიგია არასოდეს, არა-
სოდეს.
ბევრი სითბო შერჩენია შენგან ჩემ
გულს,
არ იფიქრო დამავიწყდა... არ მახსოვდეს!
ეს დროება დარდით წარსულს გავატანე,
გახსენება აღარა მსურს არასოდეს, არა-
სოდეს.
არ ვაპირებ ცუდი თვალით შემოგხედო,
არ გაკადრებ ქარიშხალს და ქარა-
შოტებს,
მუხლმოდრეკილს არ მივლია გეფიცები,
მომავალშიც აღარ ვივლი არასოდეს,
არასოდეს.

**სიმონ ზაქარაია**

# გარდაუვალ ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოს ელის, ქართველი პოლიტოლოგი წლების წინათ ვარაუდობდა

*(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)*

ევროკავშირში საქართველოს შესვლის ოცნების უტოპიურობაზე, რაც ახლახან საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა ფრანსუა ფიიონმაც დაადასტურა (არა მხოლოდ მან), ალექსანდრე ჭაჭია 4 წლის წინათ ლაპარაკობდა **"საქართველო და მსოფლიოსთვის"** მიცემულ ინტერვიუში:

**"ჯერ ერთი, ევროკავშირმა დაასრულა გაფართოების პროცესი და ახალ წევრებს აღარ მიიღებს; მეორე – წამყვანი ევროპული ქვეყნები არ მიიჩნევენ საქართველოს ევროპის ნაწილად; მესამე – ევროკავშირი რომც ფართოვდებოდეს, მასში სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს გაწევრიანება მხოლოდ თურქეთის გაწევრიანების შემდეგ იქნება შესაძლებელი. თურქეთი, მოგეხსენებათ, უკვე წლებია, დაჟინებით ითხოვს ევროკავშირში მიღებას და, რამდენიც უნდა მოითხოვოს, მას იქ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ; და მეოთხე – ევროკავშირი თავად არის დაშლის ზღვარზე და უახლოესი 5-7 წლის განმავლობაში ჩვენ მისი დაშლის უშუალო მოწმეები გავხდებით".**

აი მისი კიდევ ერთი შეფასება:

**"მულტიკულტურიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ "უმცირესობათა უფლებების" დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქცევის წესებს. ორ მილიონ მუსლიმანს შეშინებული ჰყავს მრავალმილიონიანი ინგლისი. საქმე აბსურდამდე მივიდა: ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის რეკომენდებულია, არ იარონ ლონდონის ქუჩებში სამხედრო ფორმით, რათა არ მოახდინონ ძალადობის პროვოცირება მუსლიმანი ექსტრემისტების მხრიდან! წყნარ შვედეთში ყოველ ღამე იწვის ავტომანქანები, ორი წლის წინათ იგივე ხდებოდა პარიზში. ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები. ეს პროცესი ძალიან მძიმე და, ალბათ, სისხლიანი იქნება, ფაშისტური უკიდურესობებითურთ, როგორც ეს ევროპას ისტორიულად სჩვევია, მაგრამ ის გარდაუვალია. ევროპის ერებს ჯერ კიდევ აქვთ პოტენციალი, რომელიც საკმარისია აღზევებისთვის. საქართველოს კი ასეთი პოტენციალი არ აქვს. თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ "ღირებულებებს", დავიღუპებით" ("საქართველო და მსოფლიო"** №10 (206), 2013 წელი).

*უპრეცედენტოდ დაძაბულ საარჩევნო რბოლაში დონალდ ტრამპის გამარჯვება განაპირობა ე. წ. საშუალო კლასის მხარდაჭერამ თეთრკანიანი ამერიკელებისა, რომლებსაც ყელში ამოუვიდათ თეთრკანიანი ჰეტეროსექსუალური ქრისტიანების უფლებების შელახვა, დაცინვა და ე. წ. ელგბტ-პირების უფლებების გაფართოება, თანამშრომელი შავკანიანისა და ჰომოსექსუალის სამსახურიდან გაგდების შემთხვევაში რასიზმსა და ჰომოფობიაში დადანაშაულება და ა.შ. ჰილარი კლინტონის წარუმატებლობის მიზეზი კი აგრესიული ლიბერალიზმის ქადაგება იყო, რომლის სიმბოლოც თვითონ არის. ტრამპის არჩევამ დაადასტურა, რომ ჰომოსექსუალიზმი მიუღებელია ტრადიციული ფასეულობებისა და ღირებულებების მქონე ამერიკელი ამომრჩევლისთვის.

ნიშანდობლივია, რომ აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე თეთრი სახლის ვებგვერდიდან გაქრა ყველა მასალა ლგბტ-თა უფლებების შესახებ. ყველასთვის ცნობილია, რომ პრესვიტერიანელი დონალდ ტრამპი, ბარაკ ობამასგან განსხვავებით, რომლის ადმინისტრაცია მსოფლიოს ემუქრებოდა ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებით, ჰომოსექსუალიზმის სასტიკი წინააღმდეგია.

აი როგორ შეაფასა ალექსანდრე ჭაჭიამ ჰომოსექსუალიზმის საშინელი საფრთხე, რომელიც კაცობრიობას განადგურებით ემუქრება:

**"ერები, რომლებიც ამ "დასავლური ღირებულებების" კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეგრადირდებიან და დაიღუპებიან. ამერიკასა და ევროპაში უკვე აღარ არის საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტები, რომელთაც ძალუძთ, წინააღმდეგობა გაუწიონ ამ დეგრადაციას. პროტესტანტიზმის თითქმის ყველა შტო მხარს უჭერს ამ "თავისუფლებებს" და ისინი სინამდვილეში გადაიქცნენ ფსევდორელიგიურ სექტებად. ისინი ჯვარს სწერენ ჰომოსექსუალებს, ანუ მათ ქორწინებას ღვთის სახელით აკურთხებენ! მათვე დაიწყეს ბიბლიის რედაქტირება – იმ ადგილების ამოღება, რომლებიც ჰომოსექსუალების იდეოლოგიისთვის მიუღებელია. აშშ-ში უკვე შეიქმნა ასეთი ბიბლია. კათოლიკურმა ეკლესიამაც ვერ შეძლო სახელმწიფო პროპაგანდისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობისთვის წინააღმდეგობა გაეწია და იმის შიშით, რომ არ დაეკარგა მრევლი, ასევე მიდის გარკვეულ დათმობებზე. ევროპელი ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის – ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილებების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა. ნორმალური ხალხი ხვდება, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება" ("საქართველო და მსოფლიო"** № 21 (208), 2013 წ.).

*ტრამპის გამარჯვებამ დაამწუხრა საქართველოში მოქმედი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რადგან აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი არ აპირებს **"ფერადი"** რევოლუციების დაფინანსებას, შესაბამისად, ამ **"ფერადი"** რევოლუციების ძირითად საყრდენს, ანტისახელმწიფოებრივად მოქმედ გრანტიჭამია არასამთავრობოებს, დიდი ალბათობით, დაფინანსება შეუწყდება:

**"პატარა, ღარიბ ქვეყანაში ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, რომელთა წარმომადგენლებიც არ ჩამოდიან ტელეეკრანებიდან და გამუდმებით გვასწავლიან სწორად ცხოვრებას. ისინი მოვლილი და მაძღრები ჩანან, ქირაობენ ოფისებს, მოძრაობენ მანქანებით. რა ფულით არსებობენ და შესაბამისად, როგორ "ფასეულობებს" უწევენ პროპაგანდას და როგორი "სწორი" ცხოვრების დანერგვა უნდათ მათ საქართველოში?... რაც შეეხება ევროპული სტრუქტურების ზეწოლას, ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს მათ წინაშე მონური თაყვანისცემისგან. სასაცილო და ამაზრზენი სანახავია, როგორ ჩამოდის თბილისში თაღლითების ჯგუფი ევროპარლამენტიდან და გვასწავლის მათი კანონებით ცხოვრებას. მცოდნე ხალხმა იცის, რომ ევროპარლამენტის ნახევარი მაინც დაკომპლექტებულია ავანტიურისტებით, მექრთამეებით, ჰომოსექსუალებით, ლესბოსელებით, რომლებმაც საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებში პოზიტიური საქმიანობით თავი ვერ წარმოაჩინეს",** – ამბობდა ალექსანდრე ჭაჭია 4 წლის წინათ (**"საქართველო და მსოფლიო"** № 21 (208), 2013 წ.).

*ცვლილებები, რომლებიც დაიწყება სრულიად მსოფლიოში, გამოწვეულია გლობალიზაციის კრახით, აგრეთვე, რუსეთის და რიგი სხვა სუვერენული ქვეყნების გავლენის გაძლიერებით. სწორედ ამიტომ ტრამპმა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველი, რაც გააკეთა საგარეო ურთიერთობების სფეროში, იყო ის, რომ 80 ქვეყანაში ბარაკ ობამას მიერ დანიშნული აშშ-ის ელჩები დაითხოვა და, როგორც ჩანს, წასვლა მოუწევს აშშ-ის ელჩს საქართველოში – იან კელისაც, რომელსაც თვალებში შესციცინებდა საქართველოს წინა ხელისუფლება და მის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდა ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამასთანავე, ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპი ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში შეხვდება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს.

აი რას ამბობდა მოსალოდნელი გეოპოლიტიკური ძვრებისა და გლობალიზაციის პროექტის კრახის შედეგად შექმნილ ახალ ვითარებაში საქართველოს ადგილსა და როლზე, მის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე ალექსანდრე ჭაჭია 2000 წელს გაზეთ **"შანსში"** გამოქვეყნებულ ინტერვიუში:

**"გლობალიზაციის ახლანდელი პროექტის ჭეშმარიტ მიზანს წარმოადგენს მსოფლიოს ყველა რეგიონის ინტელექტუალურ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება, იმისათვის, რომ მსოფლიო რესურსების გადანაწილების ჩამოყალიბებული პროპორციები არ შეიცვალოს. მიზეზი მარტივია და გასაგები: იმისათვის, რომ განვითარებული ქვეყნების ჯგუფმა, ე.წ. ოქროს მილიარდმა ისევ მდიდრულად იცხოვროს, დანარჩენი მსოფლიო სიღატაკეში უნდა იმყოფებოდეს... მიმაჩნია, რომ გლობალიზაციის ამჟამინდელი პროექტი არა მხოლოდ გლობალური კონფრონტაციის გამომწვევია, არამედ შეუსრულებადიცაა. ის აუცილებლად კრახით დამთავრდება, ისევე, როგორც დამთავრდა კრახით გლობალიზაციის წინა პროექტები – ადრინდელი ბოლშევიკური, მისი "მსოფლიო მთავრობით", და ფაშისტური, მისი გერმანული ჰეგემონიით მსოფლიოში...**

**საგარეო პოლიტიკაში ჩვენ ორი აქსიომა უნდა გავითვალისწინოთ: პირველი – მტკიცებები "თანასწორუფლებიან ურთიერთობებზე" საქართველოსა და ამერიკას, საქართველოსა და რუსეთს, საქართველოსა და თურქეთს შორის სისულელეა, რომლითაც ხალხის მოტყუებას ცდილობენ. შეუძლებელია, თანასწორუფლებიანი იყოს ურთიერთობები დიდს, ძლიერსა და პატარა, სუსტს შორის. ისევე, როგორც წინა საუკუნეების განმავლობაში, ძალა დღესაც რჩება მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად და მთავარ არგუმენტად. ძლიერი ყოველთვის მართალია, ხოლო უფრო ძლიერი – უფრო მართალი. საქართველო ვერ გაუძლებს კონფრონტაციას ვერც რუსეთთან, ვერც თურქეთთან, მაგრამ საქართველოს შეუძლია თავისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, თუ საგარეო პოლიტიკაში გაითვალისწინებს, რომ რუსეთი და თურქეთი, მის უკან მდგომ ნატოსთან ერთად, ცდილობენ, არ დაუშვან ერთმანეთის გაძლიერება კავკასიის რეგიონზე ერთპიროვნული კონტროლის ხარჯზე, მათ შორის საქართველოს ხარჯზეც. ორივე მხარის ეს ინტერესი უნდა გახდეს ჩვენი უსაფრთხოების გარანტია. მეორე აქსიომა: არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა იმ გეოპოლიტიკურ პროექტებში, რომლებიც ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მაშინაც კი, როდესაც დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებაც არის მიღწეული (აფხაზეთის საკითხში დასავლეთსა და რუსეთს შორის კონსენსუსმა მშობლიური მიწა დაგვაკარგვინა; მათ შორის არსებული შეთანხმება თურქ-მესხების საქართველოში შემოსახლებასთან დაკავშირებით, მოგვიტანს ახალ ომს და ისევ ტერიტორიის დაკარგვას; ორივე ამ პროექტში საქართველოს ხელისუფლება საკუთარი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა)... ქვეყნის ახლანდელ პოლიტიკურ ელიტას (ზოგს – ნებსით, ზოგს – უნებლიეთ) საქართველო მიჰყავს საყოველთაო კატასტროფისკენ, რომლის შედეგად ქართველი ერი, როგორც კომპაქტურად მცხოვრები კულტურულ-ისტორიული ერთობა, შეწყვეტს თავის არსებობას (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვისა და მასობრივი ემიგრაციის შედეგად ნაწილობრივ ეს უკვე მოხდა)",** – აი ამას ამბობდა ალექსანდრე ჭაჭია ჯერ კიდევ 16 წლის წინათ, ამას იმეორებდა ის შემდეგი წლების განმავლობაში მიცემულ უამრავ ინტერვიუშიც, მაგრამ საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას ამერიკელების შიშით ყური არ შეუბერტყავს – ყველა ხელისუფლება მხოლოდ აშშ-ის ინტერესების გატარებაზე ფიქრობდა და დღესაც ასეა – საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არც კი იმჩნევს, რომ დგება პოლიტიკური ცვლილებების პერიოდი და, თუ დროზე არ გადავდგით სწორი ნაბიჯები და არ გავაუმჯობესეთ რუსეთთან ურთიერთობა, ვერასოდეს მოვაგვარებთ იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა.

ახლა, მთავარია, არ დავკარგოთ შანსი, არ წავუყრუოთ ჩვენს გარშემო მიმდინარე გლობალურ მოვლენებს, რომელთა მნიშვნელობაზეც ალექსანდრე ჭაჭია ღიად მიანიშნებდა ხელისუფალთ:

**"დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ძალიან სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური, ცივილიზაციური, რელიგიურ-ეთნიკური პროცესები, რომლებიც, ალბათ, მსოფლიოს ახალი გადანაწილებით, გლობალური ძალების ახალი კონფიგურაციით დასრულდება, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს აიძულებს უარი თქვას ეროვნული სახელმწიფოების განადგურებასა და საკვანძო ადგილებში კონფლიქტების გაჩაღებაზე. ასეთ შემთხვევაში მისთვის საქართველო საჭირო აღარ იქნება და არ არის გამორიცხული, რაღაც პერიოდში საკუთარი თავი "ჩვენადვე გვეყუდნოდეს". ("ასავალ-დასავალი".** ივნისი. 2016 წ.)

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში დიდი ცვლილებების ეპოქა დაიწყო. ისინი, ვისაც ამის აღიარება არ სურს, ებრძვის ცვლილებებს და, მოგვარების ნაცვლად, კვლავაც ცდილობს პრობლემების მიჩქმალვას, ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდებიან...

დროა, საქართველოს ხელისუფლებამ თავი დაანებოს ფუჭ ლაპარაკს ნატო-ევროკავშირში შესვლაზე და დაიწყოს მოლაპარაკებები რუსეთთან, რომლის პირველმა პირებმა, მათ შორის, პრეზიდენტმა პუტინმაც, არაერთხელ გამოთქვეს მზადყოფნა საქართველოსთან დიალოგის გამართვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებაში არავინ ჩანს ისეთი კვალიფიკაციისა და სულისკვეთების, ვინც ჯეროვნად, უმაღლეს დონეზე წარმართავს მოლაპარაკებებს რუსეთის ხელმძღვანელობასთან, საქართველოს ჰყავს ადამიანები, რომლებსაც კავშირებიც აქვთ და უნარიც შესწევთ, ეს მოლაპარაკებები წარმატებით აწარმოონ.

**მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

---

# ორი ბინძური ადამიანის ტანდემი

ვინ არის სინამდვილეში შს მინისტრის ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე? – ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა სოციალური ქსელის პირად გვერდზე გელა ხვედელიძის და "ქრონიკა +"-ის რედაქტორის ელისო კილაძის თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს:

**"ვინ არის გელა ხვედელიძე? გელა ხვედელიძე ვალერი ხაბურძანიას უშიშროების მინისტრობის დროს, იმერეთის რეგიონის უშიშროების სამსახურის უფროსი გახლდათ, კორუფციაში ეჭვმიტანილი, 2002-2004 წლებში კი ქვემო ქართლის უშიშროების უფროსი. აქ იწყება მისი მეგობრობა ვაჟა ლელუაშვილთან. შემდეგ მისი გვარი არავის ახსენდება, სანამ "ეროვნულ ფორუმში" გუბაზ სანიკიძის პირად მძღოლად და უსაფრთხოების სამსახურის უფროსად არ "ჩაენერგა". ასე მოხვდა "ეროვნულ ფორუმთან" ერთად 2012 წელს ბიძინა ივანიშვილთან. ცნობილი 26 მაისის მოვლენებამდე დემონსტრანტებს გელა ხვედელიძე ავარჯიშებდა როგორც "შეფიცულებს", ლისის ტბაზე. ეს ცნობილი ფაქტია. იმ ღამეს ასობით დემონსტრანტი დააკავეს, ცემეს, სიკვდილის პირას მიიყვანეს, თუმცა გელა ხვედელიძისთვის ბუზი არავის აუფრენია, რატომ? "კუდმა" მიიღო დავალება – გელა "ჩვენი" კაცია და ხელი არავინ მოკიდოთო. ესეც დადასტურებული ინფორმაციაა.**

**2012 წლის არჩევნებზეც ხვედელიძე ფარულად ნაცების თერჯოლის კანდიდატს ბუცხრიკიძეს ეხმარებოდა. მაგრამ იგი ნაწილობრივ უკვე გაშიფრული იყო.**

**აი, სწორედ აქ იწყება მისი ახალი ბინძური გზა – შურისძიება ირაკლი ღარიბაშვილზე!**

გელა ხვედელიძეს უკავშირდება იმ დროს ახალი ამოტივტივებული და ხელოვნურად შექმნილი გაზეთის "ქრონიკა +"-ის რედაქტორი ელისო კილაძე, რომელიც მანამდე მტრად იყო გადაკიდებული გელა ხვედელიძეს და ხშირად უწყობდა პრესკოფერენციებს, კვერცხების ბიზნესში ადანაშაულებდა. შემდეგ მას უკავშირდება კილაძე და შერიგებასა და მეგობრობას თავაზობს.

ასე დაიწყო ორი ბინძური ადამიანის ტანდემი, როგორ უნდა მოეხდინათ ირაკლი ღარიბაშვილის სახელის დისკრედიტაცია, ცნობილი საბჭოთა კაკებეშნიკური მეთოდით. ასე ხელოვნურად შექმნეს "კახური კლანი" და სიცრუის კასკადი – თამაზაშვილი ლობირებს ამ ბიზნესს, თამაზაშვილი ლობირებს იმ ბიზნესს, ჯანყარაშვილი აკონტროლებს ყველაფერს, მილიონები კეთდება ტენდერებში და ის "ცნობილი" გაურკვეველი ფაქტები. მეთოდმა – დააბრალე და თავი იმართლონ – ხალხში იმუშავა და ბევრს დღემდე ჰგონია, ირაკლი ღარიბაშვილი მისმა გარემოცვამ დაღუპა!

გავიდა დრო და ვერავინ ვერც ის მოგებული ტენდერები აღმოაჩინა და ვერც თამაზაშვილის მილიონები, რაც არ იყო რას იპოვიდნენ. აქ ეხმარებოდათ ის ფაქტებიც, რომ ირაკლი ღარიბაშვილს შიგნითაც ბევრი მტერი ჰყავდა. ცალკე ხუხაშვილი ებრძოდა, ალასანიას ჯგუფი და "რესპუბლიკელები".

ამ ყველაფერს ჯერ ჯანყარაშვილის წასვლა მოყვა და შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა! მაინც ვერ მოისვენა ხვედელიძე-კილაძის დუეტმა, ახლა საჭირო იყო გელა ხვედელიძის სახელის რეაბილიტაცია და ისევ ბიძინა ივანიშვილის გუნდში დაბრუნება, რაც არცთუ იოლი საქმე იყო და უკვე გამოჩნდა მათი ხელისშემშლელი ფიგურაც – სოსო გოგაშვილი, რომელმაც კარგად იცოდა ვინ იყო გელა ხვედელიძე, როგორ უვრცელებდა ხმებს თითქოს გოგაშვილი და დიტო სამხარაძე "კუდის" აგენტები იყვნენ. ვერც ხვედელიძის მეგობრის, ყოფილი უშიშროების თანამშრომლის გოგი ჯაბაურის "ჩანერგვა" ვერ მოხერხდა გოგაშვილთან და ახალი ომი გამოაცხადა ელისო კილაძემ. ასე შეიქმნა მის კედლის გაზეთში ყოველკვირეული რუბრიკა "გამარჯობა სოსო".

ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, ასე გამომზეურდა ამ ბინძური ადამიანების გეგმები და მათი კავშირები მიხეილ სააკაშვილთან. აღარც ელისო კილაძეს და აღარც მის "ჩიტ", პოლკოვნიკ გელა ხვედელიძეს ამ ხელისუფლებაში მომავალი არა აქვთ. მათი "კარიერაც" დასრულდა! სამწუხაროა რომ ამ რამდენიმე პატარა ადამიანების ბინძურ კამპანიას პატიოსანი და მართლაც პატრიოტი ადამიანები შეეწირნენ!

# არასაზავო ფიქრები მილევადობის მიჯნასთან

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

სწორედ წინამდებარე წიგნზე ვმუშაობდი, როდესაც საქართველოს განათლების მინისტრად წოდებულმა ქართველი ერისა და განათლებისთვის ვინმე ალექსანდრე ჯეჯელავამ მორიგი ბრძოლა გამოუცხადა ქართულ ზეპირსიტყვიერებას, კერძოდ ზღაპრებს. უფრო ადრე, გახსოვთ, მისმა ერთ-ერთმა წინამორბედმა ასეთი ხელჩართულობა ქართულ აგიოგრაფიას დაატეხა თავს, შემდეგ საალყო მდგომარეობით გარშემოეწყო მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, სახელმძღვანელოდან გააძევა რაფიელ ერისთავის **„სამშობლო ხევსურისა“** და ა.შ.

რაც შეეხება სამშობლოს: **„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია. ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს. არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა, და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც“** (ოთარ ჭილაძე).

ამიტომ, არ შეიძლება, სამშობლოსთან სახაზინო-ხელშეკრულებითი დამოკიდებულება გქონდეს. არადა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა – თინა ხიდაშელმა სავალდებულო სამხედრო სამსახური გააუქმა, **„ანუ ახალგაზრდობამ სამშობლოსთან საკონტრაქტო ურთიერთობა უნდა დაამყაროსო“**.

ეს თინა ხიდაშელისგან გასაკვირი არაა თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც უკვე არაერთგზის შეგახსენეთ, ამ რამდენიმე წლის წინ ამ ქალბატონმა დღეს ოკუპირებულ ქალაქ გაგრაზე (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, ანუ აფხაზეთი) განაცხადა, – ამ მიწის ნაგლეჯისათვის ყველას ვერ მოვიმდურებთო (ისიც გითხარით უკვე, მასვე ეკუთვნის შეძახილი – **„ბატალ, აფხაზეთს მე არ განვიხილავ საქართველოს შემადგენლობაში“**-ო).

ის რაც საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრისათვის **„რაღაც მიწის ნაგლეჯი“** იყო, იგი დიდი ქართველი პოეტისათვის – ოთარ ჭილაძისათის, აი, რა გახლავთ:

***„შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც, გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ,***
***ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო, დაულეველო სამშობლოვ ჩემო!***
***შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ, როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი,***
***და ამ პატარა <u>მიწის ნაგლეჯზე</u> შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი!..“*** (ხაზგასმა ს. საჯ.).

აზრი არა აქვს **„დემოკრატიული ათეიზმის“** სათითისქნევო დებულებებით მოთარეშეებს ან ევრო-ატლანტიკური რასიზმის განწესებებით თავგახურებულებს რაიმე უმტკიცო, მით უფრო, რომ მოსმენის უნარი შემოიფლანგეს, მაგრამ მე ჩემს სათქმელს მაინც ვიტყვი: ქართველი კაცის მოვალეობაა გიორგიანელობა და ქრისტესმხედრობა.

თუ გიორგიანელობა, მწარმოებლობითი, გნებავთ შემოქმედებითი ყოველდღიურობით და სულიერების შინერს ვაშინერსის წესრიგით ყოველდღიურდება, თავის მხრივ ქრისტეს მხედრობა ამ შეუგინებლობათა წამდაუცდენელ მოდარაჯეობას ნიშნავს არა ჟღარუნის წესით, არამედ **„შენ რატომ უნდა გეძინოს ცუდად, მე თუ რაღაცით ვარ ბედნიერი... ან რატომ უნდა გეძინოს მშვიდად, როცა მე ვწევარ სისხლის გუბეში“** (ოთარ ჭილაძე).

მართალია, ე.წ. ახალი ნაციისთვის (გნებავთ **ლგბტ**-ური თემისთვის), რომელსაც ქალბატონი თინა ხიდაშელი ახმოვანებს, – ოთარ ჭილაძის ღვთივწვდომილურ სტრიქონებზე უფრო სადირექტივო და სახელმძღვანელო ევრო-ატლანტიკური რასიზმის მოწოდებებია, მაგრამ ჩემთვის სავსებით ამომწურავია ის განმარტება, რომელშიც ოთარ ჭილაძეს დაზუსტებული აქვს ჯარისკაცებისა და ჯარის მოვალეობა: **„ჯარი სამშობლოს მტრისაგან იცავს და სიცოცხლესაც მხოლოდ სამშობლო მოსთხოვს ჯარისკაცს.**

**ვერც ჯარისკაცი ვერ ეტყვის უარს თუ აქვს და იცის საკუთარი ჭერის და პურის გემო...“**

თავისუფლებასაც ქრისტესმხედრებში სულ სხვა განმარტება გააჩნია, ვიდრე ეს წარმოუდგენია აგრესიული დემოკრატიის ხროვულ ათარეშებას: **„პატივისცემის ღირსია ყველა, ვისაც სამშობლო შერჩა და უყვარს; ვისაც სამშობლო უყვარს და ცდილობს, აღარ დაადგას ქედზე უღელი, არ დაიმონოს ადამიანთა ყველაზე დიდი მონაპოვარი, ყველა ნაყოფზე ტკბილი ნაყოფი: თავისუფლება!..“** (ოთარ ჭილაძე).

სამაგიეროდ, იგივე დასავლეთი, რომლისთვისაც ქართველი ერი ბრბოა (ბიომასაა), წამგაუცდენელად ესარჩლება საქართველოში **„რუსთავი-2“**-ის იდეოლოგიით თვალ გახელილ ფეხაწყობას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მისი საოკუპაციო კონტინგენტია **„ადგილზე“**.

სათავშიცემოდ ჩვენდა, სწორედ ეს არ იცის ჩვენმა საზოგადოებამ, ამის გამო, ისევ და ისევ სულნათელი მუხრანის გულამოსკვნისა არ იყოს, **„საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!“**..

არ ვიცი, ზვიად გამსახურდიაც, მუხრან მაჭავარიანიც, ოთარ ჭილაძეც და ა.შ. ყველანი ერთ ხმაში, დროსა და ეპოქას ასე უსაშველოდ ჩამორჩენილები როგორ იყვნენ და მარტო თინა ხიდაშელი, ელენე ხოშტარია, აკო მინაშვილი, ნინო ლომჯარია და მისთანები როგორ არიან დროსთან შელიანდაგებულები ისე, რომ მათი საეჭვო აკვიატებები საკონსტიტუციო დონედ უნდა მივიღოთ!..

***

ზემოთ მოხის (ადიგენის რ-ნი) გაუგებრობა (უფრო სწორად, შორსგამიზნული მოგვერდი) ვახსენე: ღმერთმა დაგვიფაროს იმ ხერხებითა და ილეთებით, ქვეშქვეშობითა და აღმგველობით, ცეცხლითა და მახვილით, რომლითაც ქართულ მიწაზე ე. წ. ქართველი მუსლიმი გაჩნდა, მივეპირწონოთ ასეთ, ქართული ვინაობისთვის ლახვარჩამცემ **„უფლებას“**, მაგრამ მესხეთში უმთავრესი უფლება გახლავთ ერთი რამ, – საიმედო ცნობიერებით, მსოფლმხედველობით, გაშინაარსებითა თუ ძალიხმევით იყოს დაცული ერთიანი საქართველოს დუღაბი, დღეს ხელყოფილი, სწორედ „ქართველ მუსლიმთა“ შემქმნელი ძალის მიერ და მისგანვე ჯერჯერობით მიწასთან გასწორებული ზარზმის, ვარძიის, ოშკის, ბანას, იშხნისა და ა.შ. ქრისტესმხედრული და გიორგიანული ვინაობა.

ნებისმიერი, რომელიც რაღაც უფლებას წაეპოტინება ამ მხარეში, ერის, სრულიად საქართველოს, კი ბატონო, ვიტყვი მესხეთის მეთქი, მარადიულმყოფელი უნდა იყოს. პირველ რიგში, თავისი წინაპრების პატივმიგება გაიპიროვნოს აი, ისე, როგორც ეს ჩაიდინა მემედ აბაშიძემ, გეიდარ აბაშიძემ, გულო კაიკაციშვილმა და მათმა უღალატო თანამებრძოლებმა.

არა, ამ ადამიანებს, რომელთაც ჭკვიანი მტერი ბრმა იარაღად იყენებს და ხელში მიაჩეჩა სადედისმკვლელო ბებუთი, არაფერს ეუბნება ჯერ კიდევ ჭაბუკი ახმედ ხალვაშის – შემდეგ წინაპართა სახელი – ფრიდონი რომ დაირქვა და კიდევ ამის მერე მამა-პაპათა სარწმუნოებასთან მიბრუნებით, ამგვარი გულმხურვალება რომ გაამარადისა: **„მითხარ, როგორია მემლექეთი, ჩემი საყვარელი საქართველო, რამე იმნაირი გამაგონე, გული დაკოდილი გავამრთელო“...**

ამიტომ, აქედან გამომდინარე, აბორჯებულებს მოხეში ვეკითხები: იყვნენ თუ არა ზემოთჩამოთვლილი პიროვნებები მამულიშვილები? როდესმე დაუგმიათ თუ არა მათ მაჰმადის რჯული? დაეწუნებოდათ თუ არა ამ ხალხს ღვთისმოშიშობა? როდესმე მათი უფლება დაპირისპირებია დედასაქართველოს მიზნებს?

ცნობილია, რომ მემედ აბაშიძემ, წმინდა ილია მართლის უღალატო თანამოსანგრემ, საზოგადოების წინაშე სახლიკაცის უფლებით აღდეგრძელა ერის წინამძღოლი, **„მე მუსლიმანი კაცი ვარ, ღვინოს არ ვსვამ და წყალს დავლევო. წყალივით ანკარა კაცი ხარ“**, დასძინა ბოლოს ქართველმა მუსლიმმა და იგი დაიგულა ყოველთა ქართველთა (მათ შორის მუსლიმ ქართველთა) ღვთივდადგენილ მწყემსმთავრად (სხვა საკითხია, ამ შემთხვევის ტრაგიკული მხარე, როცა ქართველს ღვინის დალევა ეკრძალება. ეს მემედ აბაშიძის ბრალი არ იყო. სამაგიეროდ დიდმა მამულიშვილმა მემედმა მოსაზღვრა ცნობიერი სვლაგეზი **„მემედ აბაშიძიდან – ფრიდონ ხალვაშამდე“** (ანუ წინაპართა სარწმუნოებასთან მიბრუნებამდე).

ჰოდა, თქვე კაი კაცებო, ქართულ ცნობიერ სივრცეში ქართველ მუსლიმად თუ გინდათ დარჩენა, ამავე დროს პატივი მოგაგოთ ქართველმა ერმა, ნუ მოინდომებთ მათზე მეტს! არა ბრძანდებით მემედ აბაშიძეზე დიდი ქართველი და აღარც მუსლიმად ნიშანსვეტდებით მასზე უფრო, თუ სიმართლე გინდათ!..

სხვა რამეშია აქ საქმე, და ეს **„სხვა რამე“** ძალიან კარგად ვიცი, რაცაა. მთავარია, ქართულმა საზოგადოებამ გაისიგრძეგანოს თუ რასთან გვაქვს საქმე: დღის წესრიგშია პლანეტარული იმპერიის შექმნა. ასეთი გეგმა არ ითვალისწინებს ქართული სახელმწიფოს მუხლმაგრობასა და ქართველი ერის მარადიულყოფას.

***

დიახ, ეს ასეა, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, ამ შემთხვევაში გავაიოლო ძალად გამაჰმადიანებულ ქართველთა ხვედრი. არავითარ შემთხვევაში, მაგრამ აქ უნდა გავიხსენო XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურული, როდესაც საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული დივერსიების საფუძველზე **„თურქ-მესხებად“** წოდებული ხალხის შთამომავალთა საქართველოში შემოსახლების საკითხმა პროვაკაციული ხასიათი მიიღო.

რაც შეეხება ეთნოდივესიულ ტერმინ **„თურქ-მესხს“**, ეს გახლავთ მესხეთის შინაარსის პირწმინდა გაყალბება, რომელიც, სხვა დივერსიასთან ერთად, გათვალისწინებულია ამ საკითხებში გაუთვითცნობიერებელი მსოფლიოს შეცდომაში შესაყვანად: მესხი ნიშნავს ქართველს და ის არ შეიძლება თურქი იყოს, არც თურქია მესხი. ამ შემთხვევაში წინამდებარე ხალხისათვის უნდა გვეწოდებინა მესხეთელი თურქები, რაც ეწინააღმდეგება ოსმალური იმპერიის რესტავრატორთა მიზნებს.

მაჰმადიანი მოსახლეობა, რომელნიც აქედან 1944 წელს გასახლდნენ, ძირითადად გახლდნენ მესხეთელი თურქები (და არა თურქი მესხები), რომლებიც თავიანთი ქართველთმოძულეობითა და ნებისმიერი ქართული გამოვლენისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი. დიახ, მეთქი, მათ შორის ჭარბობდა ის მოსახლეობა, რომლებიც ამ მხარეში არაგულითადი მიზნით შემოდისლოცირებული სხვადასხვა თურქულ ტომთა (თარაქამები და სხვა) ინტეგრირებულ სიმრავლეს წარმოადგენდა. ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს აქედან გასახლებულთა შორის არმენეთიდანაც იყო შესაბამისი კონტინგენტი და თანაც არანაკლები, თუმცა, ეს გახლდათ ეპოქის ტრაგედია და მსგავსი რამ არ უნდა განმეორდეს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მათ გასახლებაზე არანაკლები ბოროტ მოქმედებაა ამ ხალხის იდენტიფიცირება ე.წ. თურქ-მესხებად, რასაც ძალიან შორს მიმავალი გეგმები აქვს და იგი, პირველ რიგში, მიმართულია ქართული სახელმწიფოდან ამ მხარის ჩამოსაშორებლად.

ამავე დროს, შთამომავლობამ უნდა იცოდეს, რომ თურქებზე არანაკლებ ხელგამოღებულები იყვნენ და ცეცხლითა და მახვილით, დაუზავებლად ებრძოდა ქართულ სახელმწიფოებრიობას სწორედ მუსლიმთა ის ნაწილი, წარმოშობით ქართველი რომ იყო და ზოგიერთ შემთხვევაში ქართულ გვარსაც რომ ატარებდა (ომარ ფაიკ ყიფიანი, სერვერ-ბეგ ათაბაგი, აღალი-ბეგ და აბასაღა მაჩაბლები, ფერიბეგ და ყაფლან-ბეგ ავალიშვილები და ა. შ.).

რა თქმა უნდა, 1944 წელს გასახლებულთა შორის საკმაოდ იყო ძალით გამაჰმადიანებული ქართველიც, რომელთა უმრავლესობამ დაივიწყა მშობლიური ენაც, მაგრამ იმ ხანად ის მაინც არ თვლიდა თავს თურქად, ხოლო თურქისაგან საკუთარი ვინაობის განსასხვავებლად თავის თავს **„იერლის“** ანუ ადგილობრივს ე.ი. ამ მიწის შვილს უწოდებდა. ამავე დროს, სხვა თურქს არ თვლიდა აქაურად. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ მუსლიმთა რაღაც ნაწილს შენარჩუნებული ჰქონდა დედა ენა და ქართული თვითშეგნების მაგვარი ბუნდოვანება, რომელიც, ხელშეწყობის შემთხვევაში, ვივარაუდოთ, რომ აღსდგებოდა თავის ჭეშმარიტ ვინაობაში.

იმას ვამბობდი, როდესაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა. რამდენადაც ვიცი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლები ამის შესახებ დაეთათბირნენ დარბაისლებს, ასე ვთქვათ, **„ოსმალოს საქართველოდან“** – ე. ი. მაჰმადიან ქართველთა თავკაცებს.

მათი აზრით, სამცხე-ჯავახეთში ულაპარაკოდ უნდა დაბრუნებულიყო ის ხალხი, ვინც თავის თავს **„იერლიდ“** მიიჩნევდა, ამავე დროს იგი უნდა მიბრუნებოდა იმ სარწმუნოებას, რომელსაც აღიარებდა აქაური მოსახლეობა ოსმალეთის იმპერიის შემოჭრამდე, ანუ მართლმადიდებლად უნდა მონათლულიყო. ასეთი იყო მაჰმადიანი ქართველების აზრი **„ოსმალოს საქართველოდან“**. ახლა თავად განსაჯეთ თუ ვის ემსახურება მოხისელი მუსლიმების ფორიაქი: ესაა უხილავი ხელის ხილული მავნებლობა. ეს უხილავი ხელი ძალიან მკაფიოდ გასაგნებული კიდურია ქართველთსპობითი ძრავის.

ამავე დროს ძალიან ხმამაღლა ვამბობ: საბჭოთა სახელმწიფომ მესხეთში მცხოვრები თურქები, დაადგინა რა საეთნოდივერსიო ნედლეულად, ქმედუნარიანად გამოიყენა (და არაერთხელ) ერთნოპროვოკაციებისათვის.

რამოდენიმე დაინტერესებული ჩვენი ქვეყნისათვის ავმოსურნე ძალა ამავე მიზნით ცდილობს დღეს მათი შთამომავლებისთვის იგივე მოვალეობის გაპიროვნებას.

ასეთი ვითარების გასწვრივ თვით მესხეთელი თურქების მოდგმას ექმნება ხიფათი.

აქვე, მუხლზე დგომით მინდა თანავუგრძნო მესხეთში ოსმალური აგრესიის შედეგად ძალად გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომელთაც ვერ შესძლეს მშობლიურ (მესხურ) ვინაობაში აღორძინება და ემსხვერპლნენ დიდმპყრობლობათა დღის წესრიგს.

ცნობილია, რომ ჩვენს ამ თანამოძმეებს საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული გულმოდგინეობით ყველა გზას უხშობდა ქართველობაში დასაბრუნებლად და შორს გამიზნულად აღწერდა მათ ან თურქად, აზერბაიჯანელად, უზბეკად და ა. შ. ამით ნამდვილად არ შეიძლება ქართველმა ბედნიერად მიიჩნიოს თავი.

არაფერი იმაზე სახიფათო არაა ერის ცხოვრებაში, როცა ის არ იცნობიერებს რეალობას (სიცხადეს) თავისი შესაძლო განვითარების სვლაგეზებში. არის ერთი ჩვენებური ანდაზა: **„პატარა ტურა დიდ ტურას ატყუებდაო“**!.. ამ **„ჩვენს“** უფლებადამცველებზე ვამბობ ამას! სხვათაშორის, ე. წ. **„სახალხო უფლების“** დამცველი უჩა ნანუაშვილი რომელიღაც ამერიკული ანტიმართლმადიდებლური სექტის პირწავარდნილი წევრი ყოფილა. დიახ, მეტნაკლებად ამგვარ სულისკვეთებათა და მიზნების **„უფლებადამცველები“** თავიანთი ქართველთმოძულე ენით ტურასა და მელასათვისაც შესაშური ცრუმოძრაობებით, ცილისწამებებითა თუ წინმსწრებგანზრახვითი აკვიატებებით ცდილობენ მსოფლიოს თვალში ქართველი დიდმპყრობლად გამოიყვანონ და მათ, როგორც ამ **„დიდმპყრობლობის“ „გამაუვნებელყოფებს“**, უშურველი ჰონორარი დასტყუონ 30 ვერცხლის სახით.

არადა, თავის სამამულიშვილო წერილში **„ოსმალოს საქართველო“** სულნათელმა ილია ჭავჭავაძემ ერის სახლიკაცური სულისკვეთება გაუხმოვანა სრულიად საქართველოს, პირველ რიგში კი, ოსმალო დამპყრობლების მიერ ცეცხლითა და მახვილით გამაჰმადიანებულ ქართველებს.

უკვე გითხარით და კვლავ გიმეორებთ: სწორედ ამ ცნობიერების საფუძველზე მემედ აბაშიძემ, გულო კაიკაციშვილმა და ა. შ. დედო სამშობლოსკენ მოაქციეს ოსმალოს ქართველობა. არავის უკადრებია მათთვის რჯულის გამოცვლა. სამწუხაროდ, იმათ, ვინც დღე ერთია და ათობით მეჩეთის გახსნას ითხოვენ ადიგენში, ოზურგეთში, ახალციხეში, თანაც ასეთი გაშმაგებით და გაბოროტებით (ხელისუფლება და **„უფლებადამცველები“** თავდადრეკით უკმაყოფილებენ კიდეც ამას), არაფერი აქვთ საერთო ქართველი ერის იმ საამაყო მამულიშვილებთან, რომლებიც, ავდროების გამო (ეს ძალიან კარგად იცოდნენ თავად), მაჰმადის რჯულს ატარებდნენ.

როდესაც ადიგენის რაიონის სოფელ მოხისში ე.წ. ქართველი მუსლიმები კრიჭაში დგომის წესით ითხოვენ საგანგებოდ დანგრეული ქართული ეკლესიების ქვებისგან აშენებულ შენობაში მეჩეთის გახსნას, ეს სინდისის თავისუფლების დაცვა კი არაა, არამედ, ერთიანი ეროვნული სულისკვეთების დაქუცმაცების მცდელობა ჰქვია ამას. ჯერ ერთი, ამ ბრმა იარაღად და ოსმალური რეციდივებისათვის გამოყენებულ ადამიანებს რამოდენიმე ადგილი შესთავაზეს მეჩეთისათვის.

**სერგი საჯაია,**

*(გაგრძელება იქნება)*

# წარღვნამდელი ცივილიზაციით შთაგონებული თანამედროვეობის აღმოჩენა

(გაგრძელება)



დიდებულია და თვალწარმტაცი უძველესი სამყაროს, წარღვნამდელი ცივილიზაციის, სიდიადე, ნაგებობათა გრანდიოზულობა.

აბაშის მუნიციპალიტეტის, სოფელ მაცხოვრისკარელი მხატვრის, ზაზა თოფურიას, შემოქმედება, ძირითადად, ეთმობა ამ ცივილიზაციის წარმოჩენას. (იხ. გაზეთი **"ილორი"** 2-9 აგვისტო 2016 წელი)

მსურს, თანდათან მკითხველს მივაწოდო მისი სურათებისა და 3500 ჩანახატის შინაარსი, წარმართული საყაროს შესახებ, რაც მეცნიერებისთვისაც საინტერესო იქნება. (ვგულისხმობ, ფერწერულ ტილოზე ასახულ მაგიურ იდუმალებასა და არქიტექტურულ საოცრებებს.)

ერთ-ერთ სურათზე წარმოჩენილია სამყაროს შემოქმედი, წარმართთათვის არსთა გამრიგე, რომელიც არც ისე მაღალ მთაზე მდგარ ტახტრევანზეა დაბრძანებული. მის გვერდით, ორივე მხარეს, წარმართი ღვთაებები დგანან. მთის ქვემოთ, ღვთაებათა პირისპირ, ვხედავთ განღმრთობილ ქურუმებსა და სხვა ადეპტებს, თავისებური თავსარქმელებით, რომელთაგან ზოგი პირამიდის ფორმისაა, ზოგიც – მომრგვალო, მრავალწახნაგოვანი. თავსარქმელის წვერზე მრავალი სხვადასხვა ფორმის ფიგურაა გამოსახული. აქვე არიან თავშიშველი განდობილებიც, მათ შესამოსელსა და თავსაბურავზე გამოსახულია სხვადასხვა ნიშანი, საიდუმლო ცოდნის შესახებ. მათი კვერთხების თავზე ვხედავთ პატარა პირამიდებს. ყოველი ეს სიმბოლო, სავარაუდოა, რომ მიუთითებს მათ: დანიშნულებას, სიძლიერეს, შორსმჭვრეტელობას. ზოგ ქურუმს შუბლზე, ფიზიკურად, მესამე თვალიც აქვს.

მხატვარი, გარდა სხვა ფიგურებისა, ტილოზე გამოსახავს ჰაერში გაკიდებულ პირამიდას, არსთა გამრიგეს, რომელიც, ჩვენში გავრცელებული წარმოდგენით, მამა ღმერთის ასოციაციას ბადებს. ჩანს სამყაროს მჭვრეტელი თვალი. პირამიდიდან, დედამიწაზე, ეშვება ოთხი სხვადასხვა ფორმის ისარი: ზოგი – კლაკნილი, გველივით... ზოგიც – ელვასავით. დანარჩენები, შედარებით, სწორხაზოვანი... პირველი ისარი, გველის ფორმის, ღვთიური სიბრძნის აღმნიშვნელია. ელვასავით ისარი – სამსჯავროს გამოხატულებაა. შედარებით სწორხაზოვნები, ღვთის ყოვლისმომცველ სულიერებასა და მხედველობაზე მიანიშნებს. პირამიდიდან დაშვებული ისრები შეფერილობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ზაზა თოფურიას მიერ შექმნილ ერთ-ერთ ჩანახატში ჩანან იმედიანი ადამიანები, რომლებიც აღტაცებით შეჰყურებენ ცაზე გამოჩენილ უფლის თვალს.

ფერმწერს მრავლად აქვს ტილოები, სადაც კლდეში გამოკვეთილი წარმართული ტაძრები გვხვდება. მრავალღმერთიანობის გამომხატველი ერთ-ერთი ღვთაების გამოსახულება მის მიერ შექმნილ სხვადასხვა კომპოზიციებშიც ფიგურირებს.

ტაძრების აღწერისას, აუცილებელია, რეციპიენტმა ყურადღება გაამახვილოს ისეთ დეტალზე, როგორიცაა – მომლოცველთა ასასვლელ კიბეებზე მრგვალი სფეროსებური შეკრული ნაკეთობა. ის შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნიერების ერთიანობის, კოსმიური მარადიულობის სიმბოლოდ.

უძველეს დროში განღმრთობილი ადამიანების გამოსახვა მრავალ ადგილას გვხვდება. გავიხსენოთ, წყნარ ოკეანეში მდებარე, აღდგომის კუნძულზე აღმართული ქანდაკება. ასევე, ინდიელთა ტომის – ოლმეკთა ღმერთის – კოლოსალური მონუმენტი (თავის სახით)... მაგრამ, ზაზა თოფურიას შემოქმედებაში ასახული სიუჟეტები მხატვარს, რომელიც როგორც წინა წერილში აღვნიშნე, ზეშთაგონებით აქვს მიღებული. მის მიერ შექმნილი ღვთაებათა ვიზუალი სრულიად განსხვავებული და გამორჩეულია ყველა იმ ქმნილებათაგან, რომლებიც, საუკუნეების მანძილზე, მსგავსი ხასიათის თემატიკას ეხმიანება.

სხვა ჩანახატებში ვაჩნევთ კლდეში გამოკვეთილ წარმართულ ღმერთს, წაწვეტებული, აშვერილი თავსაბურავით. ღვთაების თავსარქმელის გასწვრივ საკრალური წარწერაა.

ტილოზე გამოსახულ ღვთაებათა ფიგურების ფონზე ადამიანები მცირე ზომისანი ჩანან. აქ ასახულია უძველესი დროის გოლიათური აღნაგობის ადამიანებიცა და ეგრეთ წოდებული, ჩვეულებრივი სიმაღლის ადამიანებიც. ზაზა თოფურიას სხვადასხვა ჩანახატებში ასევე მრავლად გვხვდება კლდეში ან კლდეზე, მის მახლობლად ანთრომორფული ფორმის, ქვაში გამოკვეთილი სალოცავები. ზოგი ღვთაება ტახტზეა დაბრძანებული, ზოგიც – მდგარ პოზიციაში – კლდეზეა მიშენებული. ზოგის, მხოლოდ სახე გამოსჭვივის კლდოვანი სივრციდან...

ქვაში გამოკვეთილ წვერებზე ტაძარში შესასვლელი კიბეებია, ხოლო პირის არე წარმართული სალოცავის მთავარი შესასვლელია, რაც მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მომლოცველები მიემართებიან მაღალზე მდგარი ღვთაებისკენ, რომელიც გამოკვეთილი და გამოქანდაკებულია კლდესთან მიბჯენით. ღვთაებას ორივე ხელი გაშლილი აქვს და ხელის გულებზე სფეროს მსგავსი ფიგურები ისახება, რაც მარადიულობის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ზეციური და მიწიერი ჰარმონიული შერწყმის სიმბოლოა. ღვთაება დგას ისე, თითქოს, ფეხები მხრების სიგანეზე გაუშლია. სწორედ, მის ფეხებს შორის სალოცავის შესასავლელია გამოკვეთილი. ამავე კლდიდან ჩქეფს პატარა ჩანჩქერები. ჩვენს თვალწინ იშლება ლამაზი, საოცარი სანახაობა.

ქვაში გამოკვეთილი ადამიანის, ღვთაებათა თავის ქანდაკებებს საყრდენად თმა და წვერები აქვთ. ზოგს ოთხი საყრდენი აქვს, ზოგს – ხუთი. მათ ქვეშ დგანან ადამიანები, ბრძენკაცები, რომელთაგან ზოგიერთი ზეცისკენ იცქირება, პირამიდის ფორმიანი თავსარქმელით. არიან თავსარქმელის გარეშეც.

მხატვრის კომპოზიციებზე არსებული ხუროთმოძღვრების ძეგლები თანამედროვე არქიტექტურული ფორმებისგან სრულიად განსხვავებულია.

ჩანს 6 დიდი ტაძარი. ზოგის ცენტრში ადამიანი სახე იკვეთება. ქვეშ და გვერდებზე ჯვრის ფორმა აქვს. ზოგს კი წრიული, ზოგს კიდევ ბორჯღალოსებრი კედლები აქვს.

მხატვარი, ზაზა თოფურია, თანატოლებისგან ბავშვობიდანვე გამორჩეული იყო. მის ყოველ ნამუშევარში იგრძნობა ადამიანებისა და ბუნების სიყვარული. აღფრთოვანებას იწვევს მხატვრის შემოქმედება, სადაც **„სახლობს"** დავიწყებული სიუჟეტები, სადაც ისევ ცოცხლდება წარღვნამდელი ერა... მას, როგორც სმენადაქვეითებულს, ბევრი რამ პასუხგაუცემი რჩებოდა ბავშვობაში. თუმცა, დროთა განმავლობაში, ზეშთაგონებით, მიიღო ცოდნა, რომელიც არც ერთ ლიტერატურაში არ გვხვდება.

მომავალში, შეძლებვისდაგვარად, შევეცდები მისი 3500 ჩანახატი აღვწერო და მკითხველს მივაწოდო მისი შინაარსი. მართალია, ეს ცივილიზაცია თითქოს მაგიურია, მაგრამ მეცნიერთათვის, ვფიქრობ, წარსულის მკვლევარებისათვის, ფრიად საინტერესო მასალაა.

ზაზა თოფურიას მიერ შენახულ ჩანახატებში ასახულია ჩვენთვის უცნობი ქვეყნიერება. არის ვარაუდი, რომ ეს ქვეყანა ატლანტიდაა, სადაც კოლხიბერული მოდგმა ცხოვრობდა.

ეს ღმერთები და ნახევარღმერთები, ჩემი დაკვირვებით, იყვნენ ზღვისა და ხმელეთის, ცეცხლისა და ჰაერის მბრძანებლები. ზოგადად, წარმართული



ღმერთები ოთხივე სტიქიის მბრძანებლები იყვნენ, მაგრამ რომელიმე სტიქია მათში მეტად ათვისებული იყო.

ჩანახატების მიხედვით, ზოგიერთი დიდი ტაძრის ცენტრალურ ნაწილში უმაღლესი ღვთაების ქანდაკებაა ტახტზე დაბრძანებული. მის წინ ჩამოედინება წყალი, სადაც ნავებით მიცურავენ მომლოცველები. ტაძრის კედელზე გამოსახულია იმდროინდელი ფაუნა, ასევე, იკვეთება ცხოველთა ფიგურები, მათ შორის ვხვდებით: სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვეწარმავლებს, მტაცებლებსა და ფრთოსნებს.

სალოცავში, კედელზე, ვხედავთ ქალთევზას სკულპტურას. ის სხვადასხვა პოზაშია. ტაძრის ინტერიერი შესაძლოა აღვიქვათ, როგორც მამა ღმერთის მიერ შექმნილი მრავალფეროვანი სამყაროს გამოხატულება. ნავებით მცურავი ქურუმებისა და უბრალო ადამიანების ფიგურებზე დაკვირვებით, კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ეცნობიან კედელზე სკულპტურული ქმნილების ქვეშ წაწერილ სიბრძნესა თუ ლოცვას.

სრულყოფას ემსახურებოდა ბუნებასთან შერწყმის რიტუალები, რომლებიც ამგვარი აწერილობისაა: ტილოზე გამოსახულია გრძელთმიანი და გრძელწვერიანი, პენტაგრამის პოზაში მდგარი მამაკაცის ნიუ. მამაკაცის თმით, ორ მხარეს შეკრულია ხის ოთხკუთხედი, ხოლო ფიგურის წვერი თავისი სიგრძით სარცხვინელს უფარავს. ხელში ჯოხები უპყრია. გაშლილი ფეხებით ეყრდნობა ქვედა ჯოხს, რომელიც ოთხკუთხედის გვერდს წარმოადგენს. კაცის ფიგურის ამგვარი გამოსახვა, სავარაუდოა, რომ ქვეყნიერების ოთხივე მხარის, ჰარმონიულად შერწყმასა და სრულყოფილებისკენ სწრაფვას ასახავდეს.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია დაგრეხილი წვერ-ულვაშიანი და წარბებიანი ქურუმის პორტრეტი. სხვა თაბახზე დახატულია შიშველი მამაკაცი, ცხვირზე გრძელი თმით, რომელიც მარჯვენა ხელით მიუზიდავს. საინტერესოა, უცნაურთავსარქმელიანი ქურუმის პორტრეტიც. თუ დავაკვირდებით, მას თავსაბურავზე ხელოვნური პატარა გველის ფიგურები ამაგრია. თავსაბურავის ფონზე დიდი ზომის ხელოვნური გველი მოსჩანს, რომელსაც პირში ძვირფასი მინერალი უბრწყინავს.

ჩანახატებში გვხვდება ქვის დიდი საკერპო, რომლის კედელზე ოთხი ბრძენია გამოკვეთილი, გარშემო გველების ქანდაკებებია. საკერპოს ქვეშ არის მიწისქვეშა შესასვლელი, სადაც მრავალი დარბაზია ოქროსსაცავით, ძვირფასი თვლებით, საიდუმლოებების ჩასატარებელი რიტუალური დარბაზებით.

უძველესი გადმოცემების მიხედვით, დიდი საკერპოს წინ ხდებოდა დამნაშავეთა დასჯა. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული თითქმის იშვიათად ხდებოდა... დამნაშავეები ხელფეხშეკრულები იყვნენ და სიკვდილს თანდათან ხვდებოდნენ. აღსასრულისა და გახრწნის შემდეგ, მათი ძვლები ეყარა ამ ველზე. მიწას არ აბარებდნენ.

ქურუმების ან მათი მითითებით კეთდებოდა მრავალწახნაგოვანი, ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმით დაგრეხილი, გზამკვლევი, მისათითებელი ხის ჯოხები, კვერთხის სიმბოლური დატვირთვით. ზოგს შემეცნების ღვთიური თვალი ამშვენებდა, ზოგს გველის თავი. იყო ელვისებურად დაგრეხილები და უფრო სწორებიც. ქურუმები ან სხვა დაწინაურებული ერისკაცები ამ ხელჯოხებს მდგომარეობის, განწყობის გამოსახატად იყენებდნენ, ლხინსა თუ მწუხარებაში, ნადირობასა თუ წარმართული განგრძნობის ინიციაციაში, საჭიროებისამებრ.

თითქმის სრულიად უცნობ ქვეყანაში მცხოვრები მხატვრები საღებავებს,



მცენარეული, ცხოველური ნივთიერებებისგან ამზადებდნენ. ამის შესახებ ინფორმაცია გვხვდება მხატვრის ერთერთ ჩანახატში, სადაც ხელოვნურად გაკეთებული გველების თავებით, უცნაურ დანადგარზე გადაჭიმულ ქსოვილზე ხატავს მხატვარი ბუნების წიაღში არსებულ ტაძარს. იქვე აკვირდება რამდენიმე სახის ქვეწარმავალს. მის სახელოსნოში დგას განსხვავებული ფორმის, ხისგან, ქვისგან, ძვლისგან დამზადებული ნაკეთობებიც.

ზაზა თოფურიას შემოქმედებაში ჩანს და ცალსახად იგრძნობა სამების ღვთიურობისადმი მოწიწება, მიუხედავად იმისა, რომ, მხატვრის ჩანახატებში, ასვე მრავლად გვხვდება მითიური არსებებიცა და წარმართულ ღვთაებათა ფიგურები.

წარმატება და ხელშეწყობა ეხილოს ფერმწერის განსაცვიფრებელ შემოქმედებას, სპონსორის სახით. ასევე ვუსურვებთ მალე გამოჯანმრთელებასა და დიდხანს სიცოცხლეს, თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

მხატვარ ზაზა თოფურიას შესახებ გადაღებულია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც კინოფესტივალ **"ოქროს პეპელაზე"** დაჯილდოვდა. ფილმის სახელწოდებაა – **"უსიტყვოდ ნათქვამი"**. აქ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე – facebook – Malkhaz Grigolia – შეგიძლიათ იხილოთ ეს ფილმი.

**მალხაზ-ლაზარე გრიგოლია**

# ზუტნერების და დადიანების შეხვედრა 140 წლის შემდეგ — *რეპორტაჟი გადასაღები მოედნიდან*

2016 წლის დეკემბრის ბოლოს ზუგდიდში გაიმართა დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია, რომელიც ავსტრიელი მწერლის და პაციფისტის, მშვიდობის პრემიის პირველი ლაურეატი ქალის და მისი მეუღლის ზუგდიდში ყოფნის 5 წელიწადს ასახავს.

უკვე კვირაზე მეტია, რაც ახალგაზრდა რეჟისორთა საინიციატივო ჯგუფმა ბერტა და არტურ ფონ ზუტნერებზე ფილმი გადაიღო. გადაღებების პროცესი დასრულდა ფოთსა და მარტვილში. სცენების დიდი ნაწილი კი ზუგდიდში დაიდგა, მათ შორის დადიანების ეზოში, ბოტანიკურ ბაღში, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში, სოფელ ცაიშში იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმში და რაფიელ ერისთავის ისტორიულ სახლში, ზუგდიდში. ფილმის გადაღების პროცესი თბილისში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში დასრულდა.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა: ლევან ხარაულმა, ლაშა ადამაშვილმა და ლევან ირემაშვილმა სცენარი თავად შეიმუშავეს. ძირითადად დაეყრდნენ ბერტას მემუარებს, რომელიც მან საქართველოში ყოფნისას დაწერა. მოგონებების წიგნში, ბერტა დეტალურად აღწერს დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძის გემოვნებით მოკაზმულ აპარტამენტებს, სადაც რუსული სიგარეტებისა და ყავის სუნი შეზავებული იყო ფორთოხლის ყვავილების სუნთან.

ფილმი ასახავს ბერტას და მისი მეუღლის არტურ ფონ ზუტნერის დადიანების სასახლეში ცხოვრების პერიოდს, მათ მეგობრობას ეკატერინე ჭავჭავაძესთან, მის შვილებთან.

ფილმის ავტორებმა გააცოცხლეს ბერტასა და მისი მეუღლის მიერ **„ვეფხისტყაოსნის“** თარგმნის სცენა იონა მეუნარგიას სახლში. ცნობების მიხედვით, სწორედ ცნობილი პუბლიცისტის და კრიტიკოსის თხოვნით დაიწყეს სამეგრელოს ევროპელმა სტუმრებმა პოემის ფრანგულად თარგმნა.

1882 წელს, ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, ფონ ზუტნერები სამეგრელოდან გაემგზავრნენ თბილისში, სადაც 4 წელი იცხოვრეს.

სამეგრელოს სამთავროს ყველაზე საყვარელ სტუმართა სიაში მოხსენიებული სტუმრების შესახებ ფილმის გადაღების ინიციატივა ზუგდიდის მერიის ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განვითარების განყოფილებას ეკუთვნის. გადამღები ჯგუფი ტენდერის საშუალებით შეირჩა, რომელშიც მონაწილეობა ოთხმა პრეტენდენტმა მიიღო. საბოლოო ჯამში მერიამ ფილმისთვის 3 ათას ლარი დახარჯა. მასში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ზუგდიდის თეატრის მსახიობები, ასევე მოხალისეები. ჩაწერილია ინტერვიუები მუზეუმის თანამშრომელ ციალა თითმერიას და ბერტა ფონ ზუტნერის საერთაშორისო საზოგადოების დამფუძნებელ ბესიკ გეგეჭკორთან.

ახალგაზრდა რეჟისორთა საინიციატივო ჯგუფს დოკუმენტური ფილმების გადაღების 8 წლიანი გამოცდილება აქვს. მათ უმუშავიათ ასევე სხვადასხვა პროექტებზე, მათ შორის **„ჩექ ინ ჯორჯიას“** ფარგლებში.

**თამარ ზანთარაია**

# ტობას განვითარების კონცეფცია ადგილზე გზებისა და საბაგიროს მოწყობას ითვალისწინებს

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორთან ტობას განვითარების კონცეფციის განხილვა მოეწყო. სამეგრელოს მაღალმთიანეთში ტობას განვითარების კონცეფცია საქართველოს სპელეოკავშირის წევრმა და ცნობილმა ფოტოგრაფმა რომან თოლორდავამ წარმოადგინა. განვითარების გეგმა ხუთ ტობას მოიცავს (დიდღალიშ ტობა, წაქაწყარიშ ტობა, კალაშიშ ტობა, ცაშკიბულიშ ტობავარჩხილი და ჭითაგვალაშ ტობავარჩხილი), ასევე, შესაძლებელია დაემატოს 2 ტობა.

ტურისტული მარშუტი კურორტ მუხურიდან დაიწყება და კონცეფციის მიხედვით იგეგმება გზებისა და საბაგიროს მოწყობა ტობას მიმართულებით.

ერთ ტურისტულ მარშუტზე შესაძლებელი იქნება შურუბუმეს მღვიმეს, კანიონის და უიშვიათესი მცენარეების დათვალიერება.

განვითრების გეგმაში ასევე შედის მდინარე გვალაშარასა და მის კანიონში სამოყვარულო კანიონინგის განვითარება, ეს მარშრუტი ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისთვის, მოყვარულებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებითვის. პროფესიონალი კანიონიგებისთვის მარშუტის მოწყობა კი მდინარე კირაზალაზეა შესაძლებელი.

მდინარე ღუნჯი და მისი ჩანჩქერი კი პირველი დონის კანიონიგისთვის იქნება გათვლილი. ტობას განვითარების გეგმის მიხედვით მდინარე ხობზე რაფტინგისა და კანიონიგის განვითარებაც იგეგმება.

სამეგრელოს მაღალმთიანეთის განვითარების გეგმაში ასევე შედის ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარება. ამ მიმართულებისთვის შერჩეულია ნათიფურუს, ლანჯერის, ოხოჯეს, გვამარდას და კალაშარას მეჯოგეთა საზაფხულო სადგომები. ასევე შესაძლებელია სათევზაო და სანადირო ტურიზმის განვითარებაც.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ლევან შონიას განცხადებით, ტობას განვითარების გეგმა მიზნად ისახავს, რომ ტობა გახდეს ხელმისაწყდომი ყველასთვის.

**„ეს იქნება ახალი შესაძლებლობა ჩვენი რეგიონისთვის, ტობას მიმართულებით გაიზრდება როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა. ჩვენი რეგიონის ეს ულამაზესი მხარე ტურისტებისთვის რთულად ხელმისაწვდომია, ინფრასტრუქტურა კი განუვითარებელი. ამჟერად ტურისტებს პირველ ტობამდე 8 კილომეტრის ფეხით გავლა უწევთ, მეორე ტობამდე კი ეს მანძილი 12 კილომეტრია. გასაყვანია გზები და საბაგირო, ამ პროექტის განხორციელებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, რადგან ეს ჩვენი რეგიონისთვის ძალიან მომგებიანი ტურისტული მარშუტია“,** — განაცხადა ლევან შონიამ.



# ტრამპის გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე საათში თეთრი სახლის ოფიციალური საიტიდან გაქრა ლგბტ მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესახებ სექცია

washingtonpost-ის ცნობით, დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე საათში თეთრი სახლის ოფიციალური საიტიდან გაქრა ლგბტ ორიენტაციის მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესახებ სექცია.

გამოცემის ინფორმაციით, ასევე გაქრა საიტიდან იმ ორგანოს კოორდინატები, რომლებიც მუშაობდნენ არატრადიციული ორიენტაციის მოქალაქეთა უფლებებათა დაცვის საკითხზე.

გამოცემის ცნობით, თეთრი სახლის საიტიდან ასევე წაშალეს შრომის სამინისტროს მოხსენება არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე მუშაკთა უფლებების შესახებ.

როგორც ჩანს, მალე მძიმე დღეები დაუდგებათ მამათმავლებს, ლესბოსელებს და სხვა ჯურის გადაგვარებულებს, რომელთაც დიდი რუდუნებითა და მოწიწებით უფრთხილდებოდნენ ავადსახსენებელი ნაციონალები და მათი მფარველი ევროამერიკელები. არც ობამას სახელს მოიხსენიებენ ნორმალური ადამიანები დადებით კონტექსტში, რადგან სწორედ ობამას ხელდასმით გაიცა ზოგიერთ შტატში ნებართვა ერთსქესიანთა ქორწინების დაშვების თაობაზე, ხოლო ამერიკელები თავისუფლების დღეს არ აღნიშნავდნენ ისე პომპეზურად, როგორი პომპეზურობითაც გეიაღლუმებს ატარებდნენ. ახლა, ალბათ, ევროპელი გადაგვარებულებიც არ არიან კარგ ხასიათზე, რადგან ისინი ყოველთვის ამერიკელთა მიმართ მონური მორჩილებით გამოირჩეოდნენ და იანკების შემწეობის დაკარგვის შიშით კრინტსაც კი ვერ დაძრავენ!

ტრამპი როყიო დაპირებებს არასოდეს იძლეოდა და მოსალოდნელია, რომ მალე საკაცეთში ნატურალური კაცები დაბრუნდნენ და არა უკანალისმქნეველი მამათმავალი არაკაცები!

# რუსუდან შარაძე: დათარეშობენ მკვლელები!

საკმაოდ დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც სააკიანცის დაქირავებულმა მკვლელებმა შუადღისით, ქალაქის ცენტრში, განსაკუთრებული ცინიზმით გამოასალმეს სიცოცხლეს დიდი ქართველი მეცნიერი და სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტი გურამ შარაძე. მთელი სიცოცხლე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიუძღვნა და სიცოცხლეც სულმნათ ილიასავით დაასრულა — ქვეყნის სიყვარულისათვის ცხელი ტყვია დააჭედეს.

მოგვიანებით გაჟღერდა საკმაოდ დამაჯერებელი ვერსია იმის თაობაზე, რომ გურამ შარაძემ სააკაშვილის სკოლიდან ამოიღო საბუთი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მეხუთე კლასამდე სააკაშვილი გახლდათ ეროვნებით სომეხი გარეგინ სააკოვი.

თავისთავად საძრახისი ამაში არაფერია და არც ვინმეს სომხებისადმი უარყოფითად განწყობას ვაპირებთ, მაგრამ ამ ფაქტით დასტურდებოდა სააკიანცის და მისი დაშნაკური ბანდის სიძულვილი ქართველებისა და საქართველოსადმი, რაც გამოიხატა იმაში, რომ ნაცებმა ციხეებში გამოამწყვდიეს 44 ათასი ქართველი, დაურიდებლად ხოცავდნენ ქუჩებში ქართველ ახალგაზრდებს და საქართველოს ჩამოაჭრეს ძირძველი ტერიტორიები, რის შემდეგაც აფხაზეთში უკვე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სომხური ეროვნებისაა.

აი, რის გამო მოუსწრაფა სიცოცხლე ნაცბანდამ და მათმა შერეკილმა ბელადმა სააკიანცმა ღვაწლმოსილ ქართველ მეცნიერს.

გურამ შარაძის შვილი რუსუდან შარაძე სოციალურ ქსელში **„რუსთავი 2“**-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას ცემის ფაქტს ეხმიანება:

**„ეს ძალად მაცხონე, ვითომ კეთილშობილი ადამიანები, გულისამრევი!**

**ერთ ლოყაში გალაწუნებული და მეორე ლოყამიშვერილი ამდენი ჭეშმარიტი ქრისტიანი თუ ჰყავდა საქართველოს, მაშინ ყოფილიყო მიშა და ვეკალით, ვეუპატიურებინეთ, ჩაველპეთ ციხეში, რა საჭირო იყო ამხელა ამბავი?**

**ქრისტიანები კი არა, სინამდვილეში, მერკანტილური, საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე გადარეული, უკეთეს შემთხვევაში, თავის გამოჩენის სურვილით ანგაჟირებული „ადამიანები“ ხართ თქვენ!**

**„ვგმობთ ძალადობას!“ — გაჰკივიან და აფახულებენ თვალებს — ბევრი მართლა იდიოტი და ბევრი ვითომ იდიოტი.**

**ჯერ ერთი, რატომ არის ერთი მოქალაქის ჩხუბი და სახელმწიფოსგან საკუთარი ხალხის ხოცვა, გაუპატიურება, ციხეში ამოლპობა, ცოლ-შვილის გაფუჭება, ქონების წართმევა და ა.შ. ერთიდაიგივე, ეს ერთ დონეზე რატომ განიხილება? ან კიდევ, ნაწამებ ადამიანებს რომ სთხოვთ მიტევებას, აბა, ერთი კაცი დამისახელეთ, ვინც ამას ეტყოდა, აპატიე, რა მოხდა მერე, ბოლო-ბოლო, კაცები ხართ, არ გიჩხუბიათ?!**

**ძალადობას რომ ვგმობთ, ამოწყვეტილი ოჯახები, ამიტომაცაა, რომ დათარეშობენ მკვლელები და კიდევ აქეთ ვალს გვადებენ, რომ ცოცხლები ვართ. ძალადობას რომ ვგმობთ, ამიტომაცაა, რომ ველოდებით კანონის აღსრულებას, რომელზეც სახელმწიფო, ხელისუფლებაა პასუხისმგებელი, თორემ ბოლო-ბოლო, მუშტი კი არა, ერთი ტყვია მაინც მოიძებნებოდა ასი ათასობით გაუბედურებულ ქართველში.**

**ვიღაცა ნამდვილად ცდილობს, დიპლომატიურად, ნელ-ნელა, ჭკუითა და გონიერებით (ისევე, როგორც 2012 წელს), საბოლოო გამარჯვებას მიაღწიოს და მე ასეთ ხალხს ვუჭერდი და ვუჭერ მხარს, მაგრამ — ვერ აკეთებთ, არ აკეთებთ, უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა! მთელი პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათ, ხელისუფლებას და ეს რა არის, კიდევ უარესი საშინელება მოხდება. აღარაფერს ვამბობ, ამ პრეცედენტს როგორ გამოიყენებს ორად გახლეჩილი მკვლელების ბანდა ერთმანეთთან ანგარიშსწორებისთვის.**

**და ბოლოს: ხომ მითქვამს, რომ თითქმის, არ არსებობს რეისი, როცა რომელიმე არამზადა არ მხვდება. ძლივს გამომდის, რომ ზედაც არ შევხედო და ისიც იმიტომ, რომ საკუთარ თავს ვცემ პატივს. თუმცა, ერთხელაც, მიმიტყუნა თავშეკავებამ და დათო ბაქრაძეს რა ჟესტიც ვაჩვენე, იცით. იგივე იყო რატი გაჩეჩილაძის საქციელი. ქალი კაცს ხომ არ გავლახავდი? მაგრამ ზუსტად ვიცი, რას ჩაიდენდნენ ლაშა და გიორგი შარაძეები. რასაკვირველია, ჩემს ძმებს ვერაფრით გავამტყუნებდი, მაგრამ კმაყოფილი ვერ ვიქნებოდი და არა იმიტომ, რომ სხვაზე კეთილშობილი ვარ, არამედ, იმიტომ, რომ კანონით დასჯილი მკვლელი არაა საწყალი და ფიზიკურად, ვინმეს მიერ ჩაქოლილი — გინდა არ გინდა, უკვე მსხვერპლია. მსხვერპლად ყოფნა კი ძალიან დიდი პატივი გახლავთ ამ მართლაც პირუტყვებისთვის.**

**ჩემთვის, მთავარია, რომ ჯერ გამოძიებამ, მერე სასამართლომ დაამტკიცოს, რომ გურამ შარაძე მხეცურად მოკლეს სააკაშვილის შეკვეთით, რომ დაგეგმა დათა ახალაიას ბანდამ, გაისროლა ამა და ამან... მათი ციხე არ მეწყინება, მაგრამ სად იქნებიან, ნაკლები მნიშვნელობა აქვს. გურამ შარაძის მკვლელის სახელზე მეტი დასჯა, ჩემთვის, ბუნებაში არ არსებობს!**

**მოთმინებით ველოდები, გამოძიება მიმდინარეობს. შესაძლოა, ხვალ გაიხსნას, შესაძლოა, წლები დასჭირდეს. დარწმუნებული ვარ, შედეგი დადგება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, არ ვიცი, ვის გავულაწუნებ და აბა, თქვენ იცით, ჩამსვით ციხეში და პასუხი კანონის მთელი სიმკაცრით მაგებინეთ!“,** — წერს რუსუდან შარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი მადლობა, ჩემო საყვარელო ქართველებო... — აფხაზი პაციენტის ემოციური წერილი

ჩემო საყვარელო ქართველებო, დიდი მადლობა!

**"ჩვენს მოსანახულებლად მოსული ადამიანები მუდმივად გვეკითხებიან, რა ხდება აფხაზეთში? — აქედან კიდევ იმდენად არ ჩანს, რაც იქ ხდება, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ჩვენ ამ ყველაფერს შეჩვეულები ვართ. კრიმინალი, ყაჩაღობა, ნარკომანია, ვირუსული ინფექციები, განათლების დაბალი დონე, — ეს არის ჩვენი ახალგაზრდობის ყოფა, რომელსაც ვერ ვცვლით. მათ არ უნახავთ სხვა რეალობა, არც აქვთ მოთხოვნა",** — ამბობს თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში, შვილებთან ერთად ჩამოსული აფხაზი ქალბატონი. მისივე თქმით, აქ მეუღლის მამიდა ცხოვრობს და უკვე ფიქრობს, რომ შვილებს სწავლა თბილისში გააგრძელებინოს...

**ვერა, სოხუმელი აფხაზი:** — შვილების თბილისის რომელიმე სკოლაში გადმოყვანის შესახებ უკვე ვესაუბრე მეუღლეს. ერთადერთი, ოჯახის სხვა წევრების, ჩემი და-ძმისა და მათი მეუღლეების, ასევე, სხვა ახლობლების დარდი მაქვს. იქ ყველა ერთმანეთს იცნობს და ანგარიშს უწევს. რაღაცნაირად, კოლექტიურად ვცხოვრობთ, — ერთმანეთის რიდითა და ხათრით. მოსაზრება **— "ხალხი რას იტყვის", —** ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მით უფრო, რომ ჩემი მამამთილი 90-იან წლებში დაიღუპა.

**— იბრძოდა?**

— არა, მაღაზიიდან შინ ველოსიპედით ბრუნდებოდა, პურზე იყო წასული და ორმხრივ სროლებში მოჰყვა. მაშინ ჩემი მეუღლე და მაზლები პატარები იყვნენ. ძნელი გასარკვევი იყო, ქართველის ტყვია მოხვდა ჩემი მეუღლის მამას თუ აფხაზის, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორის გამო, ქართველების მიმართ მტრული დამოკიდებულება მაინც იყო. ამ ფონზე კი, თბილისში, თუნდაც სამკურნალოდ წამოსვლა დიდი რისკი გახლდათ. ვიღაცებმა ეროვნულ ღირსებებზე დაგვიწყეს საუბარი, თუმცა, როდესაც გაიგეს, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობა გვქონდა, გაჩუმდნენ. დიდი მადლობელი ვარ იქაური ქართველის, რომელმაც ძალზე იაქტიურა და საერთო აფხაზ მეზობლებს ჩემი სათქმელი გაბედულად უთხრა. საქმე ის არის, რომ მხოლოდ მეუღლეს კი არა, შვილსაც აქვს ჯანმრთელობის პრობლემა, — ეპილეფსიური ფონი. აფხაზეთში პედიატრებმა ვერაფერი გაუგეს. მოსკოვში მკურნალობის თანხა ჩვენ არ გვაქვს. ამიტომ ვარჩიეთ თბილისი... ძალიან ვნერვიულობდით.

**— ომის შემდეგ თბილისში პირველად ჩამოხვედით?**

— დიახ, მანამდე რაღაცები გავარკვიეთ. აქ მეუღლის ნათესავები გვყავს და მათგან ვიცოდით აქაურ სიტუაციაზე. სოციალურ ქსელებში ვნახულობდით თბილისისა და სხვა ქალაქების ფოტოებს და ვიცოდით, რომ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ასეთ ვითარებას მაინც არ ველოდით... ჯანდაცვის სფეროში მომსახურების მხრივ, საქართველო რუსეთზე ბევრად წინ არის. აქ ისე შეგვხვდნენ, როგორც დიდი ხნის უნახავ ახლობლებს. რამდენიმე დღე მეუღლის ნათესავებთან ვიყავით, შემდეგ კი, აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრომ (გულისხმობს ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს) იზრუნა და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელში მოგვათავსა, სადაც ყველანაირი კომფორტია. ბავშვებს აქაურობა ძალიან მოსწონთ.

**— მეუღლეს რა აწუხებს?**

— **C** ჰეპატიტის გართულებული ფორმა ჰქონდა. მაღალი სიცხეებითა და მკვეთრად გამოხატული სისუსტით... ეს ჩვენ ვუშველეთ თავს და ვიპოვეთ გამოსავალი, თორემ ამ დაავადებამ ასობით ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე. სხვათა შორის, თბილისში ჩამოსვლის იდეა, თავად სოხუმელმა ექიმმა მოგვაწოდა, — მოეშვით სისულელეებს და ხვალვე წადით თბილისში, მათ ამიერკავკასიაში საუკეთესო სამედიცინო მომსახურება აქვთო... ბევრი არ გვიფიქრია. მით უფრო, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაც სავალალო იყო. ასე რომ, როგორც ვატყობთ, ხშირად მოგვიწევს აქეთ გადმოსვლა. არადა, ახლა მიმოსვლას ართულებენ, რუსულმა და აფხაზურმა მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ ენგურის ხიდზე, მხოლოდ ორი **"საკონტროლო გამშვები"** პუნქტი იმუშავებს, რაც შექმნის რიგებს და გაართულებს მიმოსვლას. ასე რომ, ვფიქრობ, მე და ჩემი მეუღლე თბილისში გადმოსვლასთან დაკავშირებით საერთო პოზიციამდე მივალთ...

**— როგორ ფიქრობთ, ამას თქვენი ოჯახი როგორ შეხვდება?**

— მე ჩემი ოჯახის კეთილდღეობაზე ვზრუნავ და ამას ვერავინ ამიკრძალავს. სანამ აფხაზეთში პოლიტიკოსები და მათი მომხრეები ძალაუფლებისთვის იბრძვიან, მოსახლეობა შიდსმა და **C** ჰეპატიტმა გაანახევრა. ისედაც ცოტანი ვართ და თუ ასე გაგრძელდა, 50 წელში თითზე ჩამოსათვლელი დავრჩებით. სიმართლე გითხრათ, აქ ჩამოსვლის შემდეგ მივხვდი, რამდენი რამ აკლიათ ჩემს შვილებს და აფხაზეთში მცხოვრებ ბავშვებს... ახლა იქიდან ძალიან ბევრი გვწერს და ამა თუ იმ საკითხის დაზუსტებას გვთხოვს, — ვიცი, რომ რამდენიმე უკვე ემზადება ჩამოსასვლელად...

აფხაზეთში ჯანდაცვის მხრივ რომ მძიმე მდგომარეობაა, ეს მათ მიერ წარმოებულ სტატისტიკასაც ეტყობა, — საქმე მხოლოდ **C** ჰეპატიტში არ არის, უკვე წლებია, აფხაზი მოსახლეობა შიდსის ვირუსს ებრძვის, რომელიც ყოველწლიურად, სულ უფრო მეტ ადამიანში ვლინდება...

2016 წელს სოხუმის შიდსის ლაბორატორიაში ვირუსით ინფიცირების 1.100 შემთხვევა დაფიქსირდა. ამის შესახებ, დე ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის ვენეროლოგიური დისპანსერის ექიმმა ლუდმილა ავიძბამ განაცხადა. მისი მონაცემებით, 15 წლის განმავლობაში, შიდსის ვირუსით 200 ადამიანი გარდაიცვალა. რეგიონში, უფრო ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, რადგან ინფიცირებული პაციენტების დიდი ნაწილი აღრიცხვაზე საერთოდ არ იმყოფებოდა.

ყოველთვიურად, ცენტრში 10-მდე აივ-ინფექციით დაავადებული პაციენტი ფიქსირდება. ბოლო მონაცემებით, ეს ციფრი 400-მდეა, მათ შორის, არიან ბავშვები და ფეხმძიმე ქალებიც... ყველა მათგანი სპეციალური მკურნალობის კურსს გადის. მედიკამენტი ვირუსს არ ანადგურებს, მაგრამ მის პროგრესირებას ბლოკავს. მედიკამენტები სოხუმის დისპანსერს შიდსთან ბრძოლის მსოფლიო ფონდიდან მიეწოდება...

რამდენიმე წლის წინ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობისა და რუსეთის გადაწყვეტილებით, აფხაზეთმა სანქტ-პეტერბურგის სამედიცინო კვლევით ცენტრთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც, აფხაზი პაციენტების სამედიცინო მომსახურებისა და აფხაზი ექიმების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, კლინიკასთან თანამშრომლობა იგეგმებოდა.

აფხაზ **"კოლეგებთან"** შეხვედრისას, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, ანატოლი გულინმა განაცხადა, რომ **"ასლამაზოვის სახელობის მრავალპროფილური ცენტრი"**, მხოლოდ რუსეთში კი არა, მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და იქ ჩატარებულ კვლევებს, საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მისივე თქმით, **"აფხაზეთის მოქალაქეებს"** იქ აუცილებელი სამედიცინო დახმარების მიღება უმაღლეს დონეზე შეეძლოთ. მის განცხადებას, აფხაზები ირონიით შეხვდნენ, — მათივე თქმით, ეტყობა, გულინმა არ იცოდა, რომ აფხაზეთში 25 წელია სტაბილური სამსახური არ არსებობს...

**ლუიზა შამუგია, აფხაზი:** — რამდენიმე თვეა, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვმკურნალობთ... ვიცი, რომ ჩვენამდე აქ ძალიან ბევრმა, რამდენიმე ათასმა აფხაზმა იმკურნალა. მოსმენილი მქონდა, როგორი მაღალი დონის მომსახურება და დამოკიდებულება იყო, მაგრამ მაინც ვღელავდი. აქ ჩემს ძმისშვილს გადმოვყევი, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა... ერთი აფხაზიც დაგვხვდა, რომელსაც თავის ტვინზე გაუკეთდა ოპერაცია, უკვე გამოჯანმრთელდა და სოხუმშიც წავიდა... ჩვენ ჯერ ვერ მივდივართ, თუმცა, მადლობა ღმერთს, — ყველაფერი კარგად დასრულდა. ასევე ჩამოყვანილი მყავს ჩემი პატარა ძმისშვილები, რომელთაც ასევე ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ, მათთვის დიაგნოზის დასმა აფხაზეთში ვერ მოხერხდა. აქაურ სამედიცინო ცენტრში, ეს სწრაფად მოგვიგვარეს და მკურნალობაც დანიშნეს... აქ ნამყოფმა ახლობელმა გვირჩია, ლამის დაგვაძალა თბილისში ან ქუთაისში ჩამოვსულიყავით, თორემ ალბათ, ვერასდროს გავრისკავდით... როდესაც პირველმა ემოციამ გადაგვიარია, ჯანმრთელობის ვითარება სტაბილური გახდა, ქალაქშიც გავისეირნეთ, — თბილისი ძალიან დამსგავსებია ევროპას. დაზაფრულები გადმოვედით ენგურიდან, მაგრამ გარემოს დათვალიერება მაინც მოვახერხეთ, — აქ ყოფნისას ვხვდები, სად დარჩენილა ომის შემდგომი აფხაზეთი... თავიდან, როდესაც აფხაზეთიდან გვეხმიანებოდნენ, თავს ვიკავებდი აქ მიღებული შთაბეჭდილება გამეზიარებინა, მაგრამ ბავშვები ხომ იცით, როგორი გულწრფელები არიან, — აღფრთოვანებული ჰყვებოდნენ აქაურ ამბებს. არაფერს ვამბობ სამედიცინო მომსახურებაზე, — საოცარი სითბო და თანადგომა ვიგრძენი, რასაც ნამდვილად არ ველოდით და შთაბეჭდილების წიგნში ქართულად ჩავწერე კიდეც, რომ მადლობელი ვარ, ამ ყველაფრისთვის...

შთაბეჭდილების წიგნში, აფხაზი პაციენტის მიერ ქართულ ენაზე დაწერილ ტექსტში ვკითხულობთ: **"ჩემო საყვარელო ქართველებო, დიდი მადლობა! ჩემო საყვარელო საქართველო, ძალიან მიხარია და მადლობა იმისთვის, რომ ასეთები ხართ... ცხოვრების ბოლომდე მადლიერი ვიქნებით თქვენი. მადლობა ყველაფრისთვის, — თქვენ ჩემს უძვირფასეს ადამიანებს სიცოცხლე და ჯანმრთელობა აჩუქეთ".**

ლალი პაპასკირი

# „გლობალური კვლევების ცენტრის" 2016 წლის შეჯამება



**„ეს წელი სირიის კონფლიქტით და მისი უკიდურესი გამწვავებით იყო გამორჩეული",** — ამის შესახებ **„გლობალური კვლევების ცენტრის"** ხელმძღვანელმა ნანა დევდარიანმა **„რეპორტიორის"** პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

პრესკონფერენციაზე დევდარიანმა ცენტრის მიერ განვლილი წელიწადი შეაჯამა და იმ მნიშვნელოვან მოვლენებზე ისაუბრა, რომლებიც 2016 წელს, თავიანთი მასშტაბურობითა და მნიშვნელობით იყო გამორჩეული.

**„გლობალური კვლევების ცენტრი" არის ორგანიზაცია, რომელიც აქტუალურ თემებს ყოველთვის საექსპერტო შეფასებებით, დასკვნებითა და კონფერენციებით პასუხობს. მაგალითისთვის მოვიყვან, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების 1000-გვერდიან დოკუმენტს, რომლის ანალიზიც არცერთ ორგანიზაციას არ გაუკეთებია.**

**ეს წელი სირიის კონფლიქტით და მისი უკიდურესი გამწვავებით იყო გამორჩეული, ასევე ჩვენთვის — ორი არჩევნებით — საქართველოს საპარლამენტო არჩევნებითა და აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებით. ამავე პერიოდში იყო ასევე ავსტრიის არჩევნებიც და აქვე ხაზი მინდა გავუსვა იმას, თუ როგორ დაეცა არჩევნების მიმართ ნდობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ დასავლურ სამყაროშიც.**

**კიდევ ერთი მოვლენა, რა მიზეზითაც ამ წელმა თავი დაგვამახსოვრა, ეს არის ლარის რეკორდული გაუფასურება და საუბედუროდ, ამ მხრივ პროგნოზები არცთუ საიმედოა",** — აღნიშნა ნანა დევდარიანმა.

აქვე ეკონომიკის ექსპერტმა იოსებ არჩვაძემ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები მიმოიხილა. როგორც არჩვაძემ აღნიშნა, ხელისუფლებამ აქცენტი ფასების სტაბილურობაზე უნდა გააკეთოს, რომ მოსახლეობის შემოსავლების მსყიდველუნარიანობა არ გაუარესდეს.

იოსებ არჩვაძე ქვეყნის ხელისუფლებას ფართო საზოგადოებრივი დიალოგისკენ მოუწოდებს.

**„ხელისუფლებისა და მედიის ყურადღება, ბოლო პერიოდში, ეკონომიკურ საკითხებსა და ლარის კურსზეა გადატანილი. ამ საკითხმა, თავისი აქტუალობითა და აჟიოტაჟით, ბევრი სხვა სახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემა გადაფარა.**

**საქართველოს მცირე ზომის ეკონომიკა აქვს და მასზე გავლენას მსოფლიო პროცესებში მიმდინარე ტენდენციები ახდენს. ვფიქრობ, უფრო სწორი იქნება, აქცენტი ფასების სტაბილურობაზე ავიღოთ, რომ მოსახლეობის შემოსავლების მსყიდველუნარიანობა არ გაუარესდეს.**

**ხელისუფლება იმის მიხედვით კი არ უნდა შევაფასოთ, როგორი აქვს ლარს კურსი, არამედ იმისდა მიხედვით, როგორ იცვლება მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა. იმ შემთხვევაში, თუ ასე მივუდგებით, მაშინ ლარის კურსის ცვალებადობა ასეთი მტკივნეული აღარ იქნება. ჩვენი ხელისუფლება უფრო მეტ ფართო საზოგადოებრივ დიალოგს საჭიროებს.**

**ასევე მინდა იმ შიდა ფაქტორებსაც შევეხო, რომლებიც ლარის გაუფასურების პროცესში გარკვეულ გავლენას ახდენს. შიდა ფაქტორია საბანკო სექტორში არსებული მდგომარეობა.**

**ჩვენი ეკონომიკური პროცესები თუ ამ ტემპით განვითარდა, მაშინ დიდი ხნით ვართ განწირულები",** — განაცხადა იოსებ არჩვაძემ.

შორენა ღვაჩლიანი

# ტრამპის საინაუგურაციო სიტყვის ირგვლივ

დიდი აჟიოტაჟი და ემოციები, გამოწვეული ტრამპის აშშ-ს პრეზიდენტად არჩევის შედეგად, ნელ-ნელა ცხრება. გასული წლის 8 ნოემბრიდან (არჩევნების დღე) დაწყებული, 20 იანვრით (ინაუგურაციის დღე) დამთავრებული პროტრამპულ-ანტიტრამპული მედიური რიტორიკა – ერთობ გამაღიზიანებელი, ხშირ შემთხვევაში არაკორექტული – დნობის ფაზაშია, ისე, როგორც მკაცრი ზამთრის თოვლი, გაზაფხულის მზის ქვეშ.

დაიწყო ჩვეულებრივი სამუშაო დღეები ამერიკის პრეზიდენტის და მისი გუნდისთვის. მათი სახელები, ნაკლებად ცნობილი, რამდენიმე დღის შემდეგ ყველასთვის ცნობილი გახდება. ძველი ადმინისტრაციის სახელები და სახეები ნელ-ნელა მივიწყებას მიეცემა, ისე, როგორც პრეზიდენტყოფილი ობამას. ობამას და მისი გუნდის სახეები წამდაუწუმ აღარ იქნება ტელეეკრანებზე, ბეჭდურ მედიაში. ისინი ისტორიის კუთვნილება გახდება.

პრეზიდენტყოფილ ბარაკ ობამას, ტრადიციისდა მიხედვით, მუდამ პრეზიდენტად მოიხსენიებენ – მის დასამშვიდებლად, თუმცა ამ სახელის გარდა მას აღარაფერი გავლენა აღარ ექნება. ერთადერთი გავლენა დარჩება მას, როგორც პიროვნებას – პატივისცემა საზოგადოების მხრიდან, ცხადია იმ შემთხვევაში თუ მან მსგავსი, პრეზიდენტობის დროს მოიპოვა.

პრეზიდენტყოფილთა შორის არცთუ ხშირია საყოველთაო პატივით დაჯილდოვებული. ლოკალური პატივი – ოჯახის და ახლობლების დონეზე ყველას გააჩნია. აი, რაც შეეხება საყოველთაო პატივისცემას – მხოლოდ ერთეულებს ხვდათ წილად. ასეთი, აშშ-ს ისტორიაში, თანამედროვეობა მაქვს მხედველობაში, რუზველტი, კენედი და რეიგანი იყვნენ – საყოველთაო პატივისცემის მატარებელი პრეზიდენტები, როგორც თეთრი სახლის ბინადრობის, ისე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ – პენსიაზე ყოფნის დროს.

ობამას ყოველთვის გაიხსენებენ და გაიხსენებენ ნაკლებად სანაქებო საქმეებით, მეტადრე კანის ფერის გამო. ეს პრიორიტეტი მას სამუდამოდ გაჰყვება, როგორც იური გაგარინს პირველი კოსმონავტობა. ობამა პირველი ფერადკანიანი პრეზიდენტი იყო აშშ-ს 200-წლიან ისტორიაში და შემდგომში რამდენი ფერადკანიანი პრეზიდენტი არ უნდა იყოს ამ **„დემოკრატიით“** ცნობილ ქვეყანაში, ისინი მხოლოდ საყოველთაო პატივისცემის მოპოვებით და არა კანის ფერით თუ შემორჩებიან ისტორიას.

წინამორბედის სახელის განდიდებას ან დავიწყებას უდავოდ ხელს უწყობს ახლის წარმატებული თუ წარუმატებელი მოღვაწეობა. მუყაითად იმუშავებს ტრამპი, დაიწყებს დანაპირების შესრულებას და ვიღას გაახსენება ობამა – თუ არა ისტორიას? ტრამპის წარუმატებელი სტარტის შემთხვევაში, ობამას სახელი პირზე ეკერება საზოგადოებას.

20 იანვარს, ინაუგურაციის ცერემონიალის დამთავრებისთანავე ტრამპმა ხელი მოაწერა პირველ ბრძანებულებას მედიის თანდასწრებით, რამეთუ ეს პროცედურაც ინაუგურაციის რიტუალის შემადგენელი ნაწილია. ინაუგურაციის მომდევნო სამუშაო კვირა ტრამპმა აქტიურად დაიწყო. სამუშაო ტემპი, ერთობ ჩქარი, მეტყველებს იმაზე, რომ ახალი პრეზიდენტი, დამუხტული, შრომის სურვილით აღსავსე, შეეგება ახალ სამუშაო კვირას, ახალ საქმეს, ბიზნესისგან შორეულს, განსხვავებულს.

მისი მოწოდება – ლაქლაქის ნაცვლად, საქმე; ცოტა ლაპარაკი, ბევრი საქმე – ახალმა პრეზიდენტმა ფიცის დადებისთანავე განახორციელა, აშშ-ს ისტორიაში ახალი პრეზიდენტის წარმოთქმული სიტყვის ლაკონიურობაში. 16 წუთში ჩაატია ტრამპმა თავისი გამოსვლა – ყოვლისმომცველში, პოლიტიკოსებისთვის შემაშფოთებელში, ბევრისთვის სასიამოვნოდ მოსასმენში, რაც მთავარია იმედის მომცემში, რევოლუციურში.

ხალხის წინაშე იდგა მილიარდერი, ვითარცა მემარცხენე სოციალისტი, ლენინელი, ხალხის, უბრალო ხალხის ინტერესების დამცველი და არა მისი შემავიწროებელი, წურბელა და სისხლისმწოველი. რას ნიშნავს ყოველივე ეს? არის თუ არა ახალი პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვები – შოუს ნაწილი, მოჩვენებითობა, საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა?

ინაუგურაცია რომ წინასაარჩევნო მარათონი და კანდიდატთა პაექრობა იყოს – მსგავსი სიტყვა, ტყუილად მოეჩვენებოდა კაცს, მაგრამ ინაუგურაცია ხომ წინასაარჩევნო პაექრობის შედეგად მოპოვებული წარმატების ნაყოფია? მაშ რა გამოდის – პრეზიდენტობის კანდიდატ ტრამპის წინასაარჩევნო სიტყვებისა და დაპირებების მთავარი აზრი, საინაუგურაციო სიტყვაში აისახა? და თუ ამას ჰქონდა ადგილი და მართლაც ჰქონდა – რასაც ის დაპირდა ხალხს, აასრულებს?

უნდა ვიმედოვნოთ, რომ ასე იქნება. ტყუილი დაპირებების შემთხვევაში ის საინაუგურაციო სიტყვაში არათუ გააჟღერებდა იმას, რასაც პრეზიდენტობის კანდიდატობისას აჟღერებდა, სათოფედაც არ გაიკარებდა.

**ტრამპის პირდაპირობაში არა მარტო ამერიკელი ამომრჩეველი დარწმუნდა წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, არამედ ყველა ის, ვინც თვალს ადევნებდა დაძაბულ, ერთწლიან პაექრობას. სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტოლოგიამ, რომელსაც მიკერძოება და ზედაპირულობა ახასიათებს, ნაცვლად აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატების საფუძვლიანი შესწავლისა, ფსონი ჰილარი კლინტონზე დადო და მთელი წლის განმავლობაში ტყუილებით გაბერა ხალხი კლინტონის უცილობელი გამარჯვების თაობაზე. არადა, საქმეში ოდნავი ჩახედულობა გააბათილებდა აშშ-ს მედიის მიერ წინა პლანზე წამოწეული კლინტონის ყოვლისშემძლეობას. კლინტონის ფონზე, ტრამპი იყო ჯიუტი, უხეში, პირდაპირი, უტოპიური აზროვნებით გაჟღენთილი პიროვნება, მეტიჩარა მილიარდერი და შოუმენი, რომლის არჩევა დაღუპავდა ქვეყანას.**

დაიღუპება თუ არა ამერიკა ტრამპის ხელში – მალე გამოჩნდება, როგორც აშშ-ია მიღებული 100 დღეში. ეს, ის პერიოდია, რომლის დროსაც ახალი პრეზიდენტი ცდილობს ყველაფერი გააკეთოს, რათა ხალხის ნდობა გაამართლოს. 100 დღე თავისებური ბარომეტრია მომავალი 4-წლიანი საპრეზიდენტო ციკლისა, და ვინ იცის იქნებ 8-წლიანისთვისაც. ამიტომაც ტრამპის ტემპიან მუშაობას აქვს თავისი გამართლება – დღევანდელი წარმატება, ხვალინდელის ხიდია. წარმატება კი დანაპირების ასრულებაა. და თუ ამ კუთხით განვიხილავთ ტრამპის პრეზიდენტობას, საინაუგურაციო სიტყვა გეგმის შემადგენელი ნაწილია ანუ თავიდათავია.

**„ჩვენ გადავცემთ ხელისუფლებას ხალხს, ვუბრუნებთ ხელისუფლებას მას. საკმაოდ დიდხანს მცირე ჯგუფი ხალხისა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში მოიწევდა ნაყოფს, მაშინ, როცა უბრალო ხალხი წაგებაში იყო. ვაშინგტონი მდიდრდებოდა, მაგრამ ხალხი არაფერს იღებდა ამ სიმდიდრიდან. პოლიტიკოსები იფურჩქნებოდნენ, მაგრამ სამუშაო ადგილები მცირდებოდა. ისტებლიშმენტი, ელიტა თავიანთ თავებს იცავდნენ, მაგრამ არა ქვეყნის მოქალაქეებს. მათი გამარჯვებები არ გამხდარა თქვენს გამარჯვებად, მათი ტრიუმფი, თქვენი ტრიუმფი არ ყოფილა. როდესაც ისინი ზეიმობდნენ, თქვენ არ გეზეიმებოდათ. არამდიდარი ოჯახები ყოველდღიურად აწყდებოდნენ სიძნელეებს ყველგან. ყოველივე ეს შეიცვლება აქ და ახლა“**, – თქვა ტრამპმა, რითაც ცივი წყალი გადაასხა აშშ-ს ისტებლიშმენტს – მის ზურგს უკან სავარძლებში მსხდომ ყოფილ პრეზიდენტებს, კარტერს, ბუშს, ობამას (უფროსი ბუში – ავადმყოფობის გამო ინაუგურაციას არ ესწრებოდა), სხვებს და სხვებს.

შავბნელი სურათი, რომელიც ტრამპმა დახატა ყველა მათგანის ბრალია, ისე, როგორც შემდეგი: **„ჩვენ არ გვსურს სხვას მოვახვიოთ ჩვენი ცხოვრების წესი“**.

ეს, როგორ? ტრამპის ამერიკა უარს იტყვის სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევაზე და მათ გადემოკრატიულებაზე?

დაუჯერებელია! და რატომ? იმიტომ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ა თვითნებურად იტვირთა სხვათა მიმართ **„საგანმანათლებლო კურსების“** ჩატარება – დაშინებით, იატაკქვეშა ქმედებით, სახელმწიფო ტერორით, რევოლუციური გადატრიალებით და სხვა. **„ვარდების“, „ნარინჯისფერი“, „არაბული გაზაფხულის“** და სხვა დასახელების რევოლუციებით აშშ-ა მოახერხა ქაოსის შექმნა ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში.

აშშ-ს ადმინისტრაციის პოლიტიკა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეფუძნებოდა მართული ქაოსის პრინციპებს, მღვრიე პოლიტიკურ წყლებში თევზის ჭერას. საკუთარი პოზიციების გასამაგრებლად ისეთი **„დომხალის“** შექმნას, რომელსაც უდიდესი მსხვერპლი, ლტოლვილობა, ნგრევა ახლდა თან.

ბოლო 30-40 წლის განმავლობაში **„მართულ ქაოსში“** აშშ-ა 13 ტრილიონი დოლარი დახარჯა. გაცილებით მეტი მოიპოვა მან აშშ-ს გარეთ, სხვა ქვეყნებში ამერიკული წარმოების გატანით, რამაც საკუთარ ქვეყანას საბოლოო ჯამში მკვდარი საწარმოები, მკვდარი ქალაქები შესძინა. სხვა ქვეყნებში ამერიკული ტექნოლოგიების გატანით მოხვეჭილი ფულით აშშ-ს ადმინისტრაციებს ცოტა მაინც რომ საკუთარი ქვეყნისთვის გამოეყენებინათ, აღარც მკვდარი ქალაქები იქნებოდა და ვეღარც ტრამპი გააკეთებდა აქცენტს ამ თემაზე – წარსულის გასაკრიტიკებლად.

13 ომში დახარჯა ამერიკამ უცხოეთში ნაშოვნი ფული. გლობალისტებისთვის ამ ომებს ამერიკის ერთპიროვნული გლობალისტური მმართველობის განმტკიცების ძრავის ფუნქცია ჰქონდა, რამაც კარგა ხანს ატარა ქვეყანა საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული დღემდე. შედეგი – არცთუ დამამშვიდებელი. 30 ტრილიონი დოლარი ვალი, ზომაზე მეტად გაყოფილი ამერიკა – ერთ მუჭა მილიარდერებად და არცთუ წარმატებულ საშუალო და დაბალ ფენებად.

ძნელია ხელაღებით იმის თქმა, რომ ამერიკული ყაიდის გლობალიზმმა სული დალია, მაგრამ უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზმის ძრავს პრობლემები შეექმნა, რამაც ხელი შეუწყო ისეთი პოლიტიკოსების წინ წამოწევას, როგორებიც ტრამპი და პრეზიდენტობისთვის მებრძოლი დემოკრატი სანდერსია. მსოფლიოში, და იგივე აშშ-ი შექმნილმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა ვითარებამ ჰკრა ხელი ტრამპს და სანდერსს ეთქვათ ის, რასაც სხვები ვერ ბედავდნენ. მართალია სანდერსმა გლობალისტ ლიბერალებთან წააგო შერკინება, მაგრამ მისმა სოციალისტურმა იდეებმა სხვაგვარად იმოქმედა საზოგადოებაზე – ხელი შეუწყო მის გამოღვიძებას.

ტრამპი, დროის მოთხოვნაა, ანტიგლობალიზმის გამომხატველი. **„დღეიდან დაწყებული ჩვენ, ქვეყნის მართვისადმი ახალი პრინციპები გვექნება. ამერიკა იქნება პირველ პლანზე, პირველ ადგილზე. ყველა გადაწყვეტილება ვაჭრობის, საგადასახადო სისტემის, მიგრაციის, საგარეო პოლიტიკის დარგებში მოემსახურება ამერიკელ მშრომელს, ამერიკულ ოჯახებს. ...ჩვენ არვის მოვახვევთ თავს ჩვენი ცხოვრების წესს...“**

რას ნიშნავს ყოველივე ეს, თუ არა რევოლუციას? წარმოიდგენდა ვინმე აშშ-ს პრეზიდენტის მსგავს საინაუგურაციო განცხადებას თუნდაც 2 წლის წინათ?

ტრამპის ამერიკა უარს ამბობს სხვა ქვეყნებისთვის ჭკუის სწავლებაზე, საშინაო საქმეებში ჩარევაზე, თავის სასარგებლოდ იმ ადგილობრივი პოლიტიკური წრეების დაფინანსებაზე, რომლებიც პროამერიკული სახელმწიფო გადატრიალების პოტენციურ შემსრულებლად მოიაზრებიან. აშშ-ი აღარ დახარჯავს ფულს ისეთ **„ნარინჯისფერ“** რევოლუციაში, როგორსაც უკრაინაში ჰქონდა ადგილი.

აშშ-ი უარყოფითად იხილავს ევროკავშირის არსებობას, რაც აშკარად გამოხატა ტრამპმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მეისთან სატელეფონო საუბარში. ტრამპი მიესალმა ინგლისის გადაწყვეტილებას ევროკავშირიდან გასვლის გამო.

ტრამპი ნატოს მოძველებულ ორგანიზაციად აღიქვამს და ამბობს, რომ თუ მისი წევრი ქვეყნები არ გადაიხდიან საწევროს (ეროვნული პროდუქტის 2%), ამერიკა დატოვებს ორგანიზაციას. დღეს, ნატოს 28 წევრიდან, მხოლოდ 5 იხდის საწევროს. ნატოს დაფინანსების 68% აშშ-ზე მოდის, რაც ახალი პრეზიდენტისთვის მიუღებელია.

საინაუგურაციო სიტყვაში – ერთობ ლაკონურში, იმდენი რამ ითქვა აშშ-ს დღევანდელ-ხვალინდელობიდან გამომდინარე, უარესს რომ ვერ იფიქრებდნენ ინაუგურაციაზე დამსწრე ყოფილი პრეზიდენტები, დღევანდელი პოლიტიკოსები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები. ვერ იფიქრებდნენ, თუმცა უნდა ეფიქრათ, ვინაიდან ის, რაც საინაუგურაციო სიტყვაში ითქვა, ითქვა ერთწლიანი საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს. როგორც ჩანს მაშინ არ მიაქციეს ყურადღება პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებებს. შეიძლება მიაქციეს, მაგრამ არა ისე, როგორც საჭირო იყო. ალბათ ეგონათ, რომ წინასაარჩევნო ბატალიებში ნათქვამი, გამარჯვების შემდეგ ტრადიციულად მივიწყებას მიეცემოდა. ეს ტრადიცია ტრამპმა დაარღვია, თავის საინაუგურაციო სიტყვაში, რაც იმის მაუწყებელია, რომ ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც ითქვა.

ტრამპის საინაუგურაციო სიტყვა ახალი რამაა აშშ-ს და მსოფლიოს პოლიტიკაში, რაც უდავოდ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ხელისუფლებამ და პოლიტიკამ, წინააღმდეგ შემთხვევაში მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდება.

იწყება ახალი ერა პოლიტიკაში – ტრამპის სახელთან დაკავშირებული, რომელიც გარდაქმნას მოითხოვს, უპირველესად იმათთვის (მათ შორის ჩვენთვის), ვინც ეჭვის თვალით უყურებდა და უყურებს აშშ-ს პრეზიდენტის პოლიტიკას, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური სანაგვე არ ასცდებათ.

**ჯ. ჯამლეტიძე,**
**პოლიტოლოგი**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ჩვენ ვითხოვთ ერთით მეტ სკამს მაგიდასთან! — BBC-ის ინტერვიუ მილტონ ჰეიგთან



ჰეიგის ნაკრებმა ექვსი ერის მომდევნო ტურნირი, ევროპის ერთა თასი ბოლოს ზედიზედ ექვსჯერ მოიგო, 2015 წლის მსოფლიოს თასზე მესამე ადგილი დაიკავა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე ტესტების ტურნე დაუმარცხებელმა მოიარა.

მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის მსოფლიოს თასის მერე საერთაშორისო კალენდარში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, ჯერ არ ჩანს ნიშნები, რომ ექვს ერში რაიმე შეიცვლება, მაგრამ ჰეიგი დარწმუნებულია, რომ არსებული სტატუს-კვო საქართველოს განვითარებას აბრკოლებს და მის ნაკრებს მსოფლიოს თასისთვის მზადებაში ხელს უშლის.

"დიახ, ჩვენ გადავიზარდეთ ერთა თასისთვის და ეს არ არის სხვა გუნდების უპატივცემულობა, უბრალოდ, სიმართლეა. სწორედ ამიტომ დავიწყეთ ლაპარაკი ექვსი ერის გაზრდაზე. ჩვენ არასოდეს მოგვითხოვია ექვს ერში გავარდნის სისტემის შემოღება. ჩვენი მიზანია ექვსი ერის შვიდ ან რვა ერამდე გაზრდა.

იმის მიხედვით, რამდენად შეუძლია დღეს ჩვენს პარტნიორს ამ ტურნირში მონაწილეობა..."

თითქმის ყოველი მეორე დონის სარაგბო ქვეყანა ითხოვს მეტ თამაშს პირველი დონის ქვეყნებთან, მაგრამ საქართველოს არგუმენტები დამარწმუნებელია.

**"ბორჯღალოსნების"** უპირატესობა ევროპის ერთა თასზე აშკარაა: ბოლო 6 ტურნირში მათ 30 შეხვედრიდან მხოლოდ 2 დათმეს. ქულათა სხვაობა კი ასეთია – 948:264.

შარშანდელი მსოფლიოს თასის მერე საქართველო მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. ახლახან შინ დაძაბულ ბრძოლაში იაპონიასთან დათმო. მანამდე იყო ვიზიტი წყნარი ოკეანის კუნძულებზე დაუმარცხებლად, ბოლოს კი **"ბორჯღალოსნებმა"** თბილისში სამოა დაამარცხეს.

ძალიან, ძალიან ძნელია მეორე დონის ქვეყნისთვის ფავორიტებთან წელიწადში ერთი ან ორი ტესტის გაჩარხვა. არ ვამბობ, რომ მსოფლიო რაგბის ორგანიზაცია არ გვეხმარება არაფერში. არ არის ასე, ისინი ჩვენს განვითარებაზე ზრუნავენ, მაგრამ მეტი გვჭირდება. დიახ, მათ ალბათ ყველა ასე ეუბნება, მაგრამ პრიორიტეტების განსაზღვრა არ უნდა იყოს ძნელი".

ერთიანი კალენდრის შემუშავების საკითხმა მსოფლიო რაგბიში ბევრი დებატი გამოიწვია. ჰეიგი შიშობს, რომ ეს კიდევ უფრო შეამცირებს საერთაშორისო მატჩების ფანჯრებს და კიდევ უფრო ნაკლები შანსი იქნება **"დიდ ბიჭებთან"** გასაჯიბრებლად.

"თუ მსოფლიო რაგბი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ჩვენთვის პირველი დონის ქვეყნებთან ტესტებს, პრობლემის შესანიშნავი გადაწყვეტილება იქნებოდა გაფართოებულ ექვს ერში შესვლა – ამ შემთხვევაში ისე, რომ საერთაშორისო ფანჯრის გაზრდას არ ითხოვ და სამაგიეროდ, ექვსით მეტი მატჩი გიწევს მოწინავე ქვეყნებთან.

ეს მოდელი კარგად მოგვერგება ჩვენც და ექვსი ერის კალენდარსაც. არაფერი შეიცვლება, გარდა იმისა, რომ ჩვენ გაცილებით უკეთეს რაგბის ვითამაშებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მსოფლიოს თასზეც უკეთ გამოვალთ. აი, ასე გვესახება ჩვენი მომავალი. აი, ამას ვითხოვთ ჩვენ".

საქართველოს რაგბიში სწრაფი განვითარების პოტენციალი აქვს, ერთა თასის გადამწყვეტ მატჩებში თბილისში 50 ათასი მაყურებელი ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა, ნოემბრის ტესტებისთვის შეკრებილი გუნდის მოთამაშეების ნახევარზე მეტი ფრანგულ (ან ბრიტანულ) გუნდებში თამაშობს, მცირე ნაწილი კი სანახევროდ პროფესიულ ქართულ ლიგებში.

Pro12 ლიგის წარმომადგენლები აქტიურად განიხილავენ ტურნირში ჩრდილოამერიკული გუნდების მიღების საკითხს. განიხილება ქართული გუნდის დამატებაც.

"ეს მხოლოდ წინასწარი მოლაპარაკება იყო, თუმცა ჩვენ გამოვთქვით დადებითი პოზიცია – კარგი იქნება, თუ ამ ტურნირში ქართული გუნდი ითამაშებს.

ჩვენი მიზანია, ქართველმა მორაგბეებმა, ნაკრების წევრებმაც და სხვებმაც, მეტი საშუალება მიიღონ უკეთეს ტურნირებში თამაშის. ეს კი მათ რაგბის ცოდნას გაზრდის.

ეს იქნება დიდი შესაძლებლობა ჩვენი ახალგაზრდა მოთამაშეებისთვისაც. ასეთ მაღალი დონის ტურნირში პროფესიული გუნდით ჩართვა მხოლოდ კარგი იქნება ქართული რაგბისთვის. იმედია, ურთიერთობა ერთ-ორ წელიწადში კონკრეტულ შედეგსაც მოიტანს".

წყნარი ოკეანის ქვეყნების რაგბიში არც დიდი ფულია და არც საჭირო ინფრასტრუქტურა. ქართულ რაგბის კი დიდი მეოხი ჰყავს ბიძინა ივანიშვილის სახით.

ხუთი წელი, რაც ის ნაკრების თავკაცია, ჰეიგი არასოდეს შეხვედრია ამ კაცს, მაგრამ ყველგან მისი დახმარების ხელს გრძნობს.

"როცა პირველად ვნახე ჩვენი ბაზა, მივხვდი, რომ ასეთი ზელანდიელებსაც კი არ აქვთ. ნაკრებს საკუთარი 27-ნომრიანი სასტუმრო აქვს, საცურაო აუზით, სამზარეულოთი, დარბაზით, ერთი ხელოვნურსაფარიანი მოედნით, ერთი ბუნებრივით, ყველაფერი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია.

ეს დიდებულია და მომავალში კიდევ უფრო მეტი იქნება. ახლახან დასრულდა დარბაზი, სადაც ჩვენ დავხვეწთ კონტაქტურ ვარჯიშებს. მსოფლიოს თასის წინ ვინატრე, რომ ასეთი დარბაზი დიდად დაგვეხმარებოდა და საკითხი 10 წუთში გადაწყდა დადებითად. როცა ასეთი რაღაცები შეიძლება მოხდეს, ეს უკვე წარმატების საწინდარია.

ის არ არის რაგბის ფანი, მაგრამ კარგად იცის, რა მოაქვს რაგბის ხალხისთვის. ამიტომაც ის ანვითარებს რაგბის ინფრასტრუქტურას საქართველოში. ნაკრების ხარჯებს კი სახელმწიფო ფარავს.

თუკი მოგვეცემა შანსი, მივუსხდეთ ექვსი ერის მაგიდას, ქართული რაგბის წინაშე დიდი პერსპექტივა გადაიშლება. დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილი ყოველთვის გვერდში დაუდგება ქართულ რაგბის.

ჰეიგი აგრძელებს ისტორიულად ფიზიკური უპირატესობით ცნობილი საქართველოს ნაკრების ტაქტიკურად და ტექნიკურად დახვეწას. გვირაბის ბოლოს უკვე ჩანს სინათლე. ის ხედავს პარალელებს არგენტინასთან, რომელთა განვითარებამ ისეთ ტემპებს მიაღწია, რომ 2012 წელს სამხრეთულ ელიტაში მიიღეს, 2016 წლიდან კი – სამხრეთულ საკლუბო ელიტაშიც.

ჰეიგს მიაჩნია, რომ ქართული რაგბის დონე არც ისე შორსაა ექვსი ერის მონაწილე ქვეყნების რაგბის დონისგან:

"საქართველოში რაგბი ვითარდება, წინ მივდივართ. სულ უფრო და უფრო მეტი ბავშვი ვარჯიშობს სპორტის ამ სახეობაში. ქვეყანაში აშენებულია მეტი სტადიონი, განვითარდა ინფრასტრუქტურა რეგიონებშიც. თუკი საქართველოში რომელიმე ტოპ-ნაკრები გვეწვევა, გარანტიას გაძლევთ, რომ ჩვენი უდიდესი სტადიონი პირთამდე გაივსება და სტუმარს იქ ისეთი სათამაშო ატმოსფერო დახვდება, როგორიც შესაძლოა, კარგა ხანია არ უნახავს.

დიახ, პარიზი, ლონდონი, რომი მშვენიერი ადგილებია, მაგრამ თბილისიც კარგი გამოცდილება იქნება ფანებისთვის და ტურისტებისთვის.

დარწმუნებულები ვართ, ოთხ-ხუთ წელიწადში ეს ოცნება რეალობად იქცევა და ეს იქნება დიდი შანსი ქვეყნისთვის. აი, ამიტომაც არ ვჩერდებით და ვიბრძვით ამისთვის. ერთ დღესაც ეს აუცილებლად მოხდება და ეს ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მიღწევა იქნება".

# ჩემი მეგობარი იუბილარია...



**დიახ, ჩემი მეგობარი 1 თებერვალსაა დაბადებული და ძალიან დიდი სურვილი მაქვს მას ეს დღე მუვულოცო... ბევრი იცნობს მას... სხვათაშორის იცნობენ როგორც პატრიოტს. ქვეყნის პატრიოტს, მშობლიური კუთხის პატრიოტს... ეს ადამიანი ჯამბულ ბჟალავაა... ჯამბულ ბჟალა – ჩემი ძმა! ჯამბულ ბჟალა – ჩემი მეგობარი! ჯამბულ ბჟალა – ჩემი უღალატო თანამოაზრე! ჯამბულ ბჟალა – ჩემი დაკნინებული თურის და ოდაბადეს გულდათუთქული ჭირისუფალი!.. და, ნუ ეგონება ნურავის, რომ მე პირადი მეგობრების მიმართ ქებამოფერებაში ზედმეტად უშურველი ვარ! არა! უბრალოდ, მე მაქვს სურვილი თითოეულ ღირსეულს შესაბამისად მივაგოთ პატივი! ჯამბულ ბჟალავა კი, ნამდვილად ღირსეული ადამიანია! ჯამბულ ბჟალავასავით ადამიანები ამ ბითურ რეალობაში დიდი იშვიათობაა! ჯამბულ ბჟალავა ის ადამიანია, რომელმაც საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვის მაცდური ფიქრები დიდი ხანია განიშორა და პრინციპში იცხოვრა ისე, როგორც ეს დაკნინებული და გავერანებული სამშობლოს ნამდვილ გულშემატკივარს შეეფერება! წლები კი... ოჰ, ეს წლები... წლები მიჰქრიან და თანაც როგორ მიჰქრიან... ჟამი არ ჩერდება და ჩემი მეგობარიც უკვე ჭაბუკი როდია, მაგრამ მაინც – შეხედავ და ბარჩხალია ბჟასავით ბიჭია ჩემი ჯამბულ ბჟალა... და, მე მას ვუსურვებ, გულრწფელად ვუსურვებ დროულად მოენახოს „რინაში ალმასქუც"...**

**ვატყობ ჯამბულის აპოლოგიის ეშხში ვარ შესული... უსასრულოდ შემიძლია მასზე რიტორიკა... მაგრამ, აჯობებს მალე დავასრულო... ჰოდა, აწი დროა უშუალოდ მივმართო ჩემს მეგობარ იუბილარს:**

**ჯამბული, ჯიმა!**

**მიგახვამა ერჩქინაში დღას!**

**ირფერი ჯგირობუა ჸოფედას სქანწკჷმა!**

**მალას ქოიძირდას შურობუმ ოდაბადეში გოპირუა!..**

**ირო სქანი მოყოროფე ჯიმა დო მაჸალე!**

**ზურაბ (ზური) კვარაცხელია**

## როლანდ ჯალაღანია – 75

**პატენი როლანდი,**

**შურ დო გურით მიგახვამანთ ერჩქინაში დღას! მუ რაგადი ოკო მიგახვამანთ ქირსეკალანდას! მიგახვამანთ კუჩხას! ირფერი ჯგირი ჸოფედას თქვანი წიმეიანი რინაში მაკუჩხური! ვემგარკანი ჟინიერქ მუში მარდი დო ჭყოლოფუა! ვადინაფედას თქვანი დო თქვანჯგურა შურიშკვათუაში კათაში ხანდა დო მალას ქოიძირდანი შურობუმ ოდაბადეში გოპირუა!..**

**ჯიმალური ჸოროფათ დო პატმეჩამათ,**

**ზურაბ კვარაცხელია,**

**ზუგდიდი**

## იუმორი

კახელი მასწავლებელი მოსწავლეს კიცხავს:

– რატომ დააგვიანე სკოლაში?

– ძროხა წავიყვანე ბუღასთან, პატივცემულო მასწავლებელო!

– მერე, მამაშენი სახლში არ იყო?

– სახლში იყო, მაგრამ მაინც ბუღა ვამჯობინეთ!

* * *

ორი ჭიათურელი პენსიონერი მაღაროელი ჭადრაკს თამაშობს. ჩამოიარა ულამაზესმა ქალმა.

– არ გინდა, ახლა, ამ ქალის გულისთვის 50 წლით ახალგაზრდები რომ ვიყოთ? – ამბობს ერთი.

– არ მინდა! – ამბობს მეორე.

– რატომ?

– მაგ ქალთან ხუთწუთიანი სიამოვნებისთვის კიდევ 50 წელიწადი მაღაროში ვერ ვიმუშავებ.

* * *

სომეხი კორპუსთან დგას და ძმას ეძახის:

– სურიკ!

– აჯან!

ჩამოდი, პატრული გეძახის, შენი სუბუტექსი მიპოვნეს!


## გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.



*დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).



გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge